წელიწადი მესამე ფასი 7 კაპ. ოთხშაბათი, 29 მარტი. 1917 წ.

საქართველო

ხელის მოწერა და ცალკეული განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი.
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (წერილები მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

№ 70 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი № 70

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს თავისუფალ რუსეთში

გულმოკლულნი: მეუღლე ნიკო, შვილები: მარგო, ნინა და გუნა, მული თამარი, მაზლები: იასე და მიშა, რძლები: დარო და ფროსიკო მახარობლიძეები, დედა მაია და ქსენია ლორთქიფანიძეები მაზლის წულები: ელენე მაჭავარიანისა და მანია ოქროშიძისა, სიძეები, შაქრო მაჭავარიანი და პოლკოვ. ივანე ოქროშიძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფას

მარიამ (მაშო) იოსების ასულის

მახარობლიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე. მიცვალებულის სახლიდან გამოსვენება იქნება 29 მარტს, დილის 10 საათზე, დაკრძალვაც იმ დღესვე სოფ. ზაკურცხის ღვთისმშობლის ეკლესიაში.

(2—581—2)

27 მარტს, დილით, ხანგრძლივის ავადმყოფობით გარდაიცვალა

ეკატერინე კასრაძისა

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გულმოკლული მეუღლე გრიგოლ ილარიონის ძე კასრაძე პატარა შვილებითურთ ვახტანგითა და მარიამით, მამა მღვდ. ქრისტეფორე ჩარკვიანი, ძმები და დები კოტე, პეტია, მარიამ და სოფიო ჩარკვიანები, დედამთილი ნინო ეგნატეს ასული კასრაძისა, მულები ანეტა, ოლღა, ეკატერინე, ელენე, თამარ და ევდოკია კასრაძენი და მაზლები დათიკო და ვასილ.

პანაშვიდები ყოველ დღე ბინაზე, კირპიჩნ. ტუპ. П, № 3. გამოსვენება ხუთშაბათს, 30 მარტს, წირვა და შესვენება ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში, ხოლო დაკრძალვა მოხდება ნინო წმიდის სასაფლაოზე.

(2—633—1)

მამულიშვილნო!

დღევანდელი მომენტი განსაკუთრებულს ხარჯებს ითხოვს. შემოიტანეთ თქვენი წვლილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის. შემოწირულება მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში.

მოწოდება

ქართველო ხალხო, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა ესწრაფეთ დაიმუშავოთ ყოველივე ნაჭერი თავისუფალი ადგილისა, დაეხმარეთ ერთმანეთს, დასთესეთ საზაფხულო პური, სიმინდი, ქერი, ფეტვი, კართოფილი და ბოსტნეული, რომ ერმა თავი დააღწიოს უსაშინელეს კარზე მომდგარ შიმშილს. თუ ჩვენი მოსავალი არ მოგვივიდა, უბედურება გველის ერს. არ დაზოგოთ ფული და შრომა, რომ უზრუნველ ჰყოთ თქვენ თქვენი თავი და თქვენი ოჯახი. სხვისი იმედი ნულარ გაქვთ.

თბილისის გუბერნიის

დროებით თბ. აღმასრულებელ კომიტეტის კომისარები

ა. ი. ხატისოვი, ნ. შ. ჟორდანია და დ. მ. პოპოვი აცხადებენ, რომ 1 მარტიდან ხარჯ-აწერილთა ინსპექტორებს ჩამოერთვათ ჯარში გაწვეულთა ოჯახებისათვის სახაზინო ფულის დარიგების უფლება.

ამიტომ თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი სთხოვს **სასამართლო, სამოსწავლო, საქციზო, სასულიერო, საუფლისწულო და თბილისის სახელმწიფო ქონების უწყებათა მოხელეებს**, რომლებიც თბილისის გუბერნიის და ზაქათალის ოლქის ქალაქებში, დაბებში და სოფლებში სცხოვრობენ,—დახმარება გაუწიონ კომიტეტს ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში.

სადღეისოთ ჯარში გაწვეულთა ოჯახებს უნდა დაურიგდეს კუთვნილი ფული—საგაზაფხულო ხვედრი!

მოქალაქენო ამ უწყებათა მოხელენო! დაეხმარენით ჯარში გაწვეულთა ოჯახებს, იკისრეთ ხსენებულ ფულის დარიგება და ხელი შეუწყეთ იმათ ოჯახებს, ვინც გული სისხლსა ღვრის განახლებულ სამშობლოსათვის.

ფული ადგილობრივ ხაზინაშია ადგილობრივ სამაზრო სამხედრო საკრებულოს სახელზე, **ორ მილიონ მანეთზე მეტი!**

მიმართეთ ამ სამხედრო საკრებულოებს და განაცხადეთ, რომელ სოფლის საზოგადოებაში, ანუ რომელ საზოგადოებებში იკისრებთ გაზაფხულის თვეების წვლილ ფულის დარიგებას.

სამაზრო სამხედრო საკრებულოები თავიანთ ოქმებით ოჯახების დასარიგებელ სიებს და საჭირო ფულსაც გადმოგცემენ.

გუბერნატორის ნაცვლათ კომისარები
ალ. ხატისოვი, ნ. ჟორდანია, დ. პაპოვი.

(1—634—1)

დემოკრატიის ხმა

რუსეთის რევოლუციას გერმანიის დემოკრატია გამოეხმაურა კიდეც. რეიხსტაგის სოციალისტურმა ფრაქციამ ამ ორიოდე კვირის წინათ ერთსულოვნად უარჰყო სამხედრო ბიუჯეტი. ეს გარემოება უეჭველად ოპოზიციური სულის გაძლიერებას მოწმობს. მაგრამ ძნელი მოსალოდნელია, რომ რევოლუციურმა მოძრაობამ თავი იჩინოს გერმანიაში. ვილჰელმ მეორის მთავრობა ნიკოლოზ მეორის მთავრობას არა ჰგავს: იმ თავითვე დათმობის გზას ადგია და რამდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმა განახორციელა კიდეც. როგორც გუშინდელი დეპეშიდან სჩანს რეიხსტაგს საგანგებო კომისია აურჩევია, რომელმაც იმპერიის კონსტიტუცია უნდა განიხილოს და გააფართოვოს. ცნობილია, რომ გერმანიაში საყოველთაო ხმის უფლება არსებობს, მაგრამ საარჩევნო ოლქები უსამართლოდ არის განაწილებული და ქალაქის დემოკრატიას საკანონმდებლო დაწესებულებაში ნაკლები წარმომადგენელი ჰყავს, ვიდრე მის რიცხვს და გავლენას შეეფერება. ამას გარდა კანცლერი და სამინისტრო პასუხისმგებელია კაიზერისა და არა რეიხსტაგის წინაშე. ეხლა, როგორც სჩანს, მთავრობას აზრად აქვს საარჩევნო ოლქების სამართლიანი გადამიჯვნა მოახდინოს, ე. ი. ხალხს თანასწორი ხმის უფლება მიანიჭოს და პასუხისმგებელი სამინისტრო შეჰქმნას.

დაკმაყოფილდება თუ არა ამ პოლიტიკური რეფორმებით გერმანიის დემოკრატია? როგორც უკანასკნელ ცნობებიდამ სჩანს, სოციალისტური პარტიის მთავარი ორგანო „ფორვერტს“ შემდეგსა სწერს: „რესპუბლიკური წესწყობილების მოთხოვნა გერმანიაში მხოლოდ თვით გერმანელებს შეუძლიათ და არა რუსებს, ფრანგებს, ინგლისელებს, ან იტალიელებს. არც ერთს არა აქვს უფლება სხვებს ძალით სახელმწიფო წეს-წყობილების ფორმა შეაცვლევინოს. გერმანელი ხალხის უმრავლესობა მონარქისტებისაგან შესდგება და მხოლოდ დემოკრატიულ რეფორმებს ითხოვს. თუ მონარქიამ ხალხის სურვილები აასრულა, რესპუბლიკური აგიტაცია ნიადაგს დაჰკარგავს. უცხოელების მიერ გერმანიის შინაურ საქმეებში ჩარევა კი მხოლოდ იმას გამოიწვევს, რომ ომი მეტის-მეტად გაჭიანურდება“.

როგორც ზემოდ მოყვანილი სიტყვები ამტკიცებს, კაიზერის პრესტიჟი ჯერ კიდევ საკმაოდ მტკიცე ყოფილა და ჰოჰენცოლერნთა ტახტის დამხობა ახლო მომავალში მოსალოდნელი არ უნდა იყოს. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ სოციალისტური და დემოკრატიული გერმანია ვილჰელმ მეორეს ბოლომდე უსიტყვოდ გაჰყვეს იმპერიალისტურ მიზნის განხორციელებაში. გერმანიაც დაიქანცა ამ უმაგალითო შეჯიბრებაში. დრო გადის, მის წინააღმდეგ ახალი მტრები ირაზმებიან. შეერთებული შტატები ოთხთა შეთანხმებას ემხრობა და შეუძლებელია მთელი ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლა. გერმანიის უკანასკნელი წინადადება ზავის შესახებ მეტის-მეტად ზომიერია. სჩანს, რომ ის კიდევ მეტს დაუთმობს, თუ წინასწარი ზავი ჩამოვარდა და შერიგებისთვის დაიწყეს ლაპარაკი. საფრანგეთიდან ეხლა გერმანეთი მხოლოდ თხუთმეტ მილიარდ ფრანკს ითხოვს კონტრიბუციის სახით და ბრიეის და ლონგვის რაიონს, ე. ი. ვიწრო ტერიტორიას, რომელიც ლუქსემბურგსა და გერმანულ ლოტარინგიას აკრავს. ამას გარდა თანახმაა ბელგია დასცალოს და აღადგინოს, მხოლოდ დროებით ზოგიერთ ქალაქებში უნდა დარჩეს გერმანული მეთვალყურე რაზმები.

პოლონეთის შესახებ შეურიგებელი წინააღმდეგობა აღარ არსებობს რუსულსა და გერმანულ თვალთსაზრისში. რუსეთიც და გერმანეთიც პოლონელ ერს სახელმწიფოებრივს დამოუკიდებლობას ჰპირდება. ლიტველ ხალხსაც დამოუკიდებლობა ეუწყა. ამ აქტს ასე თუ ისე რუსეთმაც უნდა გაუწიოს ანგარიში.

ასეთს მდგომარეობაში დაუსრულებელ ომს აზრი ეკარგება. ეს კარგად შეიგნო რუსეთის მოწინავე დემოკრატიამ, რომელსაც ახლა ხელში მართვა-გამგეობის სადავე უჭირავს. ეს დემოკრატია მზად არის თავისი მკერდით განთავისუფლებული რუსეთი დაიცვას, მაგრამ ამასთან ერთად ის პეტროგრადის საბჭოს პირით მთელი ქვეყნის პროლეტარიატს მოუწოდებს ხმა აიმაღლოს ზავის ჩამოსაგდებად. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს მოწოდება უშედეგოდ არ ჩაივლის.

ჩვენი ბედი

კიდევ ახალი და ახალი ეროვნებანი გამოდიან პოლიტიკურ ასპარეზზე გარკვეულ მოთხოვნილებებით, გარკვეულ სურვილებით. პოლონელებსა და ფინებზე არას ვამბობთ. მათ სავსებით აღიდგინეს ეროვნული უფლებები. ამათ უკრაინელები მიჰყვებიან, ესტონელები, ლიტველები. სომხების ავტონომიის საკითხიც, ამბობენ, სწყდება საიდუმლო პოლიტიკურ წრეებშიო. ყველა ეს ეროვნებანი აშკარად და გაბედულად მოითხოვენ ავტონომიას. ლიტველებმა საკუთარი დროებითი მთავრობა აირჩიეს და საკუთარი დამფუძნებელ კრებისთვის ემზადებიან. მათი წარმომადგენელნი რუსეთის ახალი მთავრობის მეთაურს წარუდგნენ და აცნობეს, ლიტვის დროებითი მთავრობა აქედანვე შეუდგება ლიტვის მართვა-გამგეობის მოწყობას ავტონომიურ ნიადაგზეო. მერე რა უთხრა მათ თავ. ლვოვმა? მოღალატეთ მონათლა, რუსეთის რევოლუციის დამქცევად აღიარა? სრულიადაც არა. ასეთი ნაბიჯი მათ მიულოცა და გამარჯვება უსურვა. კიდეც ურჩია—ხანს ნუ დააყოვნებთ, საქმეს აქედანვე შეუდექითო. ჩვენ კი გვარწმუნებენ, რომ საკუთარ ეროვნულ უფლებებით აღდგენისათვის ზრუნვა ბოროტება და ღალატიაო... უკრაინელებმაც ახალ მთავრობას კიდევ ახალი დეპუტაცია გაუგზავნეს. წინადადებას აძლევენ აქედანვე, დამფუძნებელი კრების მოწვევამდე აღიარეთ უკრაინის ავტონომიაო.

რუსეთის ყველა ეროვნებანი დაირაზმა, გაერთიანდა. ყველგან მოისპო პარტიული ბრძოლა და უთანხმოება. ყველგან დაივიწყეს ამ დიად მომენტში ჯგუფური შუღლი და მტრობა. ყოველგან და ყველა ამაღლდა პირადულ და ჯგუფურ სულისკვეთებას და უმაღლეს ეროვნულ მისწრაფებებს დაუმორჩილა თვისი ნება და ზრახვანი.

ძნელია იმის დაჯერება, რომ ჩვენი სამშობლო შეადგენს ამის გამონაკლისს. შეუძლებელია იმის შერიგება, რომ დიადი რევოლუციონური ტალღანი ვერ გაახალისებს ქართველის გულს, საუბედუროდ ჩვენდა, დაკნინებულს, დაწვრილმანებულს.

ისევ წვრილმანი ჯგუფური შეხლა-შემოხლა, ისევ პირადული მტრობა და ანგარიშები? და ეს დღეს, როდესაც ყოველივე ახლად იბადება, როდესაც შესაძლოა ყოველივეს აღდგენა, მოპოება, ანუ დაკარგვა, დასამარება?

რუსეთის არც ერთ სხვა ეროვნებას არ გაუღია ჩვენზე მეტი მსხვერპლი ეროვნულ თავისუფლების დასაცავად. ჩვენის წარსულის მატიანე ეროვნულ თავისუფლებისათვის თავგანწირვის დაუსრულებელი მოთხრობაა. მთელს თაობებს გაუწირავს ეროვნულ თავისუფლებისათვის თვისი სიცოცხლე. ნუ თუ ეხლანდელი ჩვენი თაობა დაიკისრებს საქართველოს ეროვნული უფლებების უყურადღებობის და მივიწყების ბოროტებას, მძიმე დანაშაულს?..

ალი.

სრულიად საქართველოს ერს

ჩვენი პროგრამა! შეიძლებოდა ორი სიტყვითაც გამოგვეთქვა მისი დედააზრი, ორი სიტყვით სავსებით გამოგვეხატა შინაარსი მრავალ პარაგრაფებისა: საქართველოს აღდგენა! ეს ორი სიტყვა ახასიათებს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, მისის პროგრამის ყოველი მუხლი ამ ცნებას შეიცავს; რომელ საკითხსაც უნდა შეეხებოდეს იგი—სარწმუნოებას, განათლებას, მიწის-მფლობელობას, თუ სახელმწიფო გადასახადს—მასში გამოსჭვივის ეს 2 სიტყვა, რომელიც სათაყვანებელი უნდა იყოს ყველა ქართველისათვის, ვისაც ეროვნული შეგნება განცხოველებული აქვს.

კაცობრიობის კულტურა ჩვენა გვაქვს წარმოდგენილი, ვითარცა ჯამი ერთა შემოქმედებითის სიმდიდრისა. ესა თუ ის ერი შემოქმედი და მატარებელია თავისის საკუთარ კულტურისა, რომლის დასაბამი უნდა ვეძიოთ საუკუნეთა სიძველეში. თვის წიაღსა შინა ერი ჰქმნის განთვისებულ ღირებულობათ, და იგინი წვლილად შეაქვს მსოფლიო საუნჯეში, როგორც მჭიდროდ დაკავშირებულ კოლექტივს, განუყოფელ ერთეულს. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ არაბეთის, რომის, საბერძნეთის, ანუ გერმანეთის კულტურაზე, ჩვენს გონებაში ისახება ერი განკერძოებული, შეურყეველ ნიადაგზე მდგომი, ჩვენს აზრში იბადება ცნება, რომ ერი—მის მთლიანი გამოსახულობით კაცობრიობის უსათუო ნაწილი, მის აუცილებელი კუთვნილება—წარმოადგენს პირველ ხარისხოვან ფაქტორს კაცობრიობის ცხოვრების პროცესში.

რა ნაირი დიფერენციაციაც უნდა იყოს თვით ერში, რამდენადაც უნდა იყოს დაყოფილი მისი სული, რა გვარი ბრძოლაც უნდა სწარმოებდეს ერის შემადგენელ სხვა და სხვა ნაწილთა შორის, მაინც არის ერთი რამ, რაც აერთებს ჟამად განცალკევებულ ჯგუფებს, ავიწყებინებს მათ პირად საჭიროებაზე ზრუნვას და ხალხის ენერგიას სრულიად ამუშავებს საერთო კეთილდღეობისათვის—ეს გახლავთ **ერის სახე**. ვერავითარ ხელოვნურ გარდაქმნას ვერ ძალუძს მოსპოს ერის ისტორიული სახე, ესე იგი, ის,, რაც ამა თუ იმ ერს აძლევდა საშუალებას კაცობრიობის ისტორიის ხანგრძლივ მსვლელობაში განემტკიცებინა თვისი ნება, ემოქმედნა საკუთარი თაოსნობით და განსხვავებული ზნე-ჩვეულებით.

დღევანდელმა დიად მომენტმა ქართველობას წინ დაუყენა ფრიად საძნელო და მასთან აღსავსე მოულოდნელ შედეგებით საკითხი, რომელსაც პასუხი სულ ახლო მომავალში უნდა მივცეთ. ქართველ ხალხს თანდათანობით უბრუნდება მისი სამკვიდრებელი, ეხდება ძაძები და მის ნაცვლად განგოზილად იმოსება ივერიის დიდების მისაგებებლად. აღორძინებულმა ისტორიულმა მოვლენამ გუშინდელნი უტყვნი მონანი გვაქცია სრულ-უფლებიან მოქალაქეებად; ამიერიდან უფლების დათრგუნვას, დაჩაგვრას და საზოგადოთ ძალადობას ადგილი აღარ ექნება. ქართველი ხალხი განურჩევლად წოდებისა, სარწმუნოებისა, სქესისა,—ის ქართველი ხალხი, რომელსაც სამშობლოს მთლიანობის ღირსეული დაცვით მუდამ ჟამს თავი უსახელებია, ის ხალხი, რომლის მრავალ საუკუნო ისტორია არის უებრო მოთხრობა მამულიშვილთა საგმირო საქმეთა, ის ხალხი, რომელთა მიწა-წყალი გაჟღენთილია სახელოვან წინაპართა სისხლით,—დღეს უნდა გამოვიდეს ერის დასახიჩრებულ სახის აღსადგენათ! მდგომარეობა იმგვარია, რომ ჯერ არს ყოველი მხარე ჩვენი მოქმედებისა შეუფარდოთ სამშობლოს სიკეთეს. უნდა გაისმას ერის ხმა: გლეხმა, თავადმა, მუშამ, მღვდელმა ერთხმად უნდა გამოსთქვან ჩვენი შეუდრეკელი, გამონადუღი სურვილი: **თავისუფალი საქართველო თავისუფალ რუსეთში!**

დიდებულ ჟამს უნდა აღვივსნეთ ამგვარივე აზრებით: მტრობა-მეტოქეობა, პარტიული განხეთქილება და ყველა ის, რაც ცხოვრების სიდუხჭირით არის გამოწვეული, უნდა ჩანელდეს, როდესაც სწყდება მთელის საქართველოს საკითხი. ჩვენ ხელთ არის ბედი ჩვენი: თუ ჩვენ არ ვიქნებით ჩვენი ბედნიერების მჭედელნი, თუ ჩვენ არ აღვადგენთ მკვდრეთით საყვარელ სამშობლოს, თუ ჩვენ ერთხმად არ მოვითხოვთ შელახულ იურიდიულ დოკუმენტის ძალაში მოყვანას,—სხვამ, შეიძლება, ვერც-კი მოიცალოს ამისთვის.

პოლიტიკურად ჯეროვანად აღზრდილი ერი განსაცდელში ყოველთვის შეთანხმებულად და მწყობრად მოქმედობს. აქაც შეუდარებელ მაგალითს გერმანიის ხალხი გვაძლევს. როგორც გადმოგვცემს პეტროგრადის დეპეშათა სააგენტო, გერმანიის პროლეტარიატის მთავარ ორგანოს „ფორვერტს“ ასეთი პასუხი მიუცია რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცნობილ მოწოდებაზე გერმანია-ავსტრიის მუშათა მიმართ: „მოთხოვნილება, რომ გერმანიაში შემოღებულიყოს რესპუბლიკანური წყობილება, უნდა გამოდიოდეს **მხოლოდ გერმანელებისაგან** და არავითარ შემთხვევაში რუსებისა, ფრანგებისა, ინგლისელებისა ან იტალიელებისაგან. **არც ერთ ხალხს არ აქვს უფლება მოახვიოს ძალით სხვას სახელმწიფო წყობილების ფორმები...**“

გავიმსჭვალნეთ საქართველოს დიდების სურვილით, ხელი შევუწყოთ ხალხის ეროვნულ გათვითცნობიერებას, და მაშინ თავისთავად დამკვიდრება, ჩვენი პროგრამის ქვა-კუთხედი, მაშინ აღსდგება საქართველო!

რ. ინგილო.

საქართველოს

დამოუკიდებელი ეკლესიის სამღვდელოებას და ერს მადლი და კურთხევა სულისა მიერ წმიდისა.

საყვარელნო! ღვთის მადლით რუსეთსაც ეშველა. რუსეთშიაც ჩამოჰკრა თავისუფლების სამხიარულო ზარმა. ერის მრისხანებამ ერთის დაკვრით გააქრო და კვამლივით მიმოფანტა ძველის მთავრობის ხსენება, სახელი, ძალა და გავლენა, იმ [illegible]

რუსეთის მკვიდრთ რომ გასაქანს არ აძლევდა და სიცოცხლეს უმწარებდა. დღეს თავისუფლად სუნთქავს მთელი რუსეთი.

ჩვენც, ქართველებსაც ამოგვიშუქა თავისუფლების ცისკარმა. ბრწყინვალე რევოლიუციის მეოხებით მიმდინარე თვის მეთორმეტე რიცხვიდან ქართველთა ეკლესია უკვე თავისუფალი და დამოუკიდებელია. მაგრამ ამ დამოუკიდებლობას ჯერ კიდევ განმტკიცება და ფესვების მომაგრება სჭირდება: საჭიროა, რომ განახლებულ ეკლესიის დროებითმა მმართველობამ ხელთ იგდოს ყველა საეკლესიო დაწესებულებანი, გამოიმუშაოს ახალი ორგანიზაციები და ეკლესიის ცხოვრების თვითეულ მხარეში შეიტანოს სასიცოცხლო წესწყობილება. დროებითი მმართველობა ეკლესიისა დაუღალავად შრომობს, დღე და ღამ ჰქმნის ახალ ფორმებს სამოქმედოთ, მაგრამ ეს საქმე არც იმდენად მარტივია, რომ შესაძლო იყოს ერთის კვირის განმავლობაში ყველაფრის გარიგება, ყველგან უცბად მოწყობა ახალის ორგანიზაციებისა და სხ.

საეკლესიო დროებითი მმართველობა შეწუხებულია იმ გარემოებით, რომ ალაგ-ალაგ სამღვდელოებას და ხალხს აღარ მოუცდია მმართველობის დირექტივების გამოცხადებისათვის და თვითონ გადაუყენებია მღვდლები, გამოუცლია კეთილმოწესეები, გაუნთავისუფლებია საეპარქიო დაწესებულების მოხელენი და სხ. ერთი სიტყვით, მიუთვისებია ის უფლებანი, რაც მმართველობისა და მღვდელმთავრის უპირატესობას შეადგენს. მღვდელმთავარიც და საეკლესიო დროებითი მმართველობაც სავსებით იზიარებენ სამღვდელოების შემადგენლობის გაწმენდის აუცილებლობას, მხოლოდ უსათუოდ დრო უნდა იქნეს ამისთვის შერჩეული, ეხლა კი საფიქრებელია, რომ სამღვდელოებაში უკმაყოფილების ნაპერწკლის გადასროლით მტრები არ გავუმრავლოთ ეკლესიის განთავისუფლების საქმეს და მით ხელი არ შევუწყოთ ამ საქმის მოწინააღმდეგეთა ბანაკის გაძლიერებას. ამიტომ, როგორც მე, ისე დროებითი მმართველობა საქართველოს ეკლესიისა გულსმოდგინედ ვთხოვთ სამღვდელოებას და მორწმუნე ერს იქონიონ ცოტაოდენი მოთმინება, მოუცადონ ჩვენგან სოფლად და ქალაქებად ორგანიზაციების დაარსებას, სანამ არ გამოგვიქვეყნებია საკუთარი დირექტივები, ნუ იღებენ დადგენილების გამოტანას ღვდლებისა და თანამდებობის პირთა დასჯა-დათხოვნის შესახებ, ნუ არღვევენ ეკლესიის არსებულ წესწყობილებას.

ძმებო და შვილებო! ვისარგებლოთ დიდებულის მომენტით, ერთ წამსაც ნუ დავკარგავთ წვრილმან და საპირადო საქმეებზე, ეკლესიასთან ერთად სამშობლოც შევმოსოთ თავისუფლებით, სამშობლოსაც მოვუპოვოთ ტერიტორიალური ავტონომია. ამას შევწიროთ ზვარაკებად, ამას შევალიოთ ყველამ ძალა და უნარი!..

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრე **ლეონიდე,** ეპისკოპოსი გურია-ოდიშისა.

28 მარტსა 1917 წელსა.

ქ. თბილისი.

რევოლიუციის დღეები

დროებითი მთავრობის განკარგულება სამღვდელოების შესახებ

პეტროგრადი. იმ მღვდლებს, რომლებიც თავის ნებით და სამღვდელოების თანხმობით მღვდლობიდან გადადგებიან ან სასულიერო სასამართლოს ძალით იქნებიან გადაყენებულნი, შერჩეთ ყველა უფლებები რაც მათ ეკუთვნით ჩამომავლობით, განათლებით, სამსახურით, სამეცნიერო ხარისხები (როგორც მღვდლობაში მიღებული, ისე წინედაც) და სხვა. 2) ესევე უფლებები ეძლევათ ბერებსაც. 3) მოსპობილ იქნეს მოქმედება 12 და 13 მუხლებისა სამსახურის წესდებისა, მუხლი 414, 415 მუხლის 3, 4, 5 და 6 პარაგრაფებისა; 327, 329 მუხლები და მათი შენიშვნები.

ვირუბოვისა და სუხომლინოვისა

22 მარტს ცარსკოე სელოდან პეტროგრადში ღარაჯებით მიიყვანეს და პეტრეპავლეს ციხეში მოათავსეს ტრუბეცკის კოშკში.

პოლონეთის სამეფო

პეტროგრადიდან იტყობინებიან: სახელმწიფო საბჭოს და სახელ. სათათბიროს პოლონელმა წარმომადგენლებმა, თავისს რწმუნებულებაზე უარი განაცხადეს იმ მოსაზრებით, რომ დროებითმა მთავრობამ პოლონეთის დამოუკიდებლობა აღიარა.

უწმიდეს სინოდში

სინოდმა დაადგინა: სასულიერო კონსისტორიებში და სასწავლებლებში დაუყოვნებლივ შემოიღონ არჩევნების წესი უფროსებისა და მასწავლებლებისა. არჩევნებს მოახდენს პედაგოგთა საბჭო, ხოლო სასულიერო პირთ დაამტკიცებს სინოდი, ერის კაცებს-კი სინოდის ობერ-პროკურორი.

ობერ-პროკურორის ამხანაგად დაინიშნა პროფესორი კარტაშევი.

ობერ-პროკურორის პროექტით, ობერ-პროკურორის სამმართველოსთან არსდება საგანგებო საბჭო მართლ-მადიდებელ ეკლესიის საადმინისტრაციო საქმეთა მართვა-გამგეობისათვის. საბჭოში სულ 12 კაცი იქნება; 3 ეპისკოპოსი, 3 სამღვდელოების წარმომადგენელი, 6 ერის კაცი.

პურის მონოპოლიზაცია

პეტროგრადი. 24 მარტს, მიწადმოქმედების მინისტრმა შინგარიოვმა სათათბიროს პურის მონოპოლიის პროექტი წარუდგინა. პროექტი მოწონებულია.

წითელ-ჯვრის დადგენილება

პეტროგრადი. წითელმა ჯვარმა დაადგინა, უმთავრეს საწყობიდან, განთავისუფლებულ პოლიტიკურ დამნაშავეთ ათასი ცალი საცვალი დაურიგოს.

რუსეთის პროვინცია

პეტროგრადი. სახალხო თავისუფლების პარტიის კრებაზე პროვინციებიდან მოსული ცნობები წაიკითხეს. ამ ცნობებით ჩანს, რომ პროვინციაში, მრავალგან უწესოებაა. მიზეზი ის არის, რომ ბევრგან ორი და სამი ახალი მთავრობა გაჩენილა, ბევრგან ერთმანეთს ეტუსაღებენ, ცენტრალ მთავრობას კი იქ არავითარი ავტორიტეტი აქვს. ამ არეულობაში დიდი წილი უდევს პეტროგრადის მუშათა და დეპუტატთა საბჭოს, რომელიც ცენტრალ მთავრობასთან ერთად თავის განკარგულებებსაც სცემს.

ომის დღეები

მთავარ ბანაკის ცნობა.

28 მარტი.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. კარპატების მიდამოებში ძიმბარონის მიმართულებით და ტამნეტიკის დასავლეთით მოპირდაპირეს უმნიშვნელო იერიშები მოვიგერიეთ. დანარჩენ ბრძოლის ხაზზე სროლა და ზვერვაა.

კავკასიის ასპარეზზე სროლა და ზვერვაა.

საფრანგეთი

პარიზი. საღამოს ოფიც. ცნობა. მთელი დღის განმავლობაში ქვეითა ჯარი ბრძოლაში არ ჩაბმულა. მედგარი სროლა იყო ზარბაზნებისა მდ. სომასა და ენს შუა, აგრეთვე შამპანში 25 მარტს გერმანელებმა რეიმსს 1200 ყუმბარა ესროლეს, მოკლულია 1 მცხოვრები, 3 დაჭრილია.

პარიზი. დღის ოფიც. ცნობა. ბელგიაში ფრანგების ჯარი ორ ადგილას შეიჭრა მტრის ფარგალში ლომბარძუნდეს მიდამოებში. ზარბაზნებით დანგრეულ სანგრებში ბევრი დახოცილი გერმანელების გვამი დახვდათ. პაშანდოლეს არხის სამხრეთით გერმანელების შემოტევა ხელის ყუმბარებით მოვიგერიეთ. მდ. სომასა და ენს შუა დრო და დრო ზარბაზნების სროლა და მზვერავთა შეტაკებაა. ვოგეზებში გერმანელებმა ერთ სანგარს მოულოდნელად შემოუტიეს, მაგრამ მოვიგერიეთ სელლის მიდამოებში. მეორე შემოტევა ლარგიტცენის მიმართულებით ელზასში ძვირად დაუსვით გერმანელებს.

ინგლისი

ლონდონი. საფრანგეთის ასპარეზზე, ბაპომ-კამბარეს გზის მიდამოებში ღამე 3000 ადლით წინ წავიწიეთ სოფ. ლუვერვალის ჩრდილოეთით. ჩვენი რაზმები რამდენიმე ადგილას ღამე მტრის ფარგალში შეიჭრნენ და ტყვეები წამოიყვანეს. იპრის სამხრეთ-აღმოსავლეთით 18 გერმანელი დავატყვევეთ. აქ აღმოჩნდა, რომ მტრის სანგრები ძლიერ დაგვეზიანებინა.

გუშინ გერმანელების საფრენთა 4 სადგური გავანადგურეთ, დავაზიანეთ შენობებიც. გავანადგურეთ აგრეთვე გერმანელების დაბმული შარი.

იტალია

რომი. იტალიის ცნობა. ლაგორინოს ველში ზღვის პირად მდგარ შენობას ზარბაზნები დაუშინეთ. ჩვენმა მფრინავებმა რეიფენბერგსა და მასარის საწყობებს ასაფეთქებელი ნივთიერება დაუშინეს და უვნებლად დაბრუნდნენ. მტრის ჰიდროპლანები მონფალკონეს თავს დაესხნენ. მტრის ერთი საფრენი კალლიოს მიდამოებში ჩამოაგდეს. მფრინავები მოკლულია.

„საქართველოს“ კონტორა

აცხადებს, რომ იმ წლიურ ხელის მომწერთ, ვინც 5 აპრილამდე არ შემოიტანს ხვედრ ფულს, გაზეთის გზავნა მოესპობათ

მაკედონია

სოლუნი. მოპირდაპირემ მონასტირს 60 ყუმბარა ესროლა. ინგლისელმა მფრინავებმა მარჯვედ დაუშინეს ყუმბარები კუდოვის სადგურს და ქსტოვოში მდებარე ყუმბარების საწყობებს.

სესხი მოკავშირეებს

28 მარტი.

სტოკჰოლმი. ამერიკის შეერთებულ შტატების ხაზინადარს განზრახვა აქვს კონგრესში კანონ-პროექტი შეიტანოს, რომლის ძალითაც უნდა გამოიცეს 5 მილიარდ დოლარის სესხი. ეს სესხი უნდა მოკავშირეებს გადაეცეთ. სესხის უმეტესი ნაწილი ერთი თვის შემდეგ გადაეცემა.

გერმანიას და ამერიკასთან ომი

სტოკჰოლმი. ბერლინიდან იტყობინებიან: ამერიკის მიერ გამოცხადებულმა ომმა ხალხი ძალიან შეაშფოთა. პრესის უმეტესი ნაწილი სცდილობს ხალხი დაამშვიდოს იმ ფაქტით, რომ შტატებსა და ავსტრო-უნგრეთის შორის დამოკიდებულება შესწყდა, და რომ ამის მეთაური თვით ავსტრო-უნგრეთი იყო. ავსტრო-უნგრეთიო—ამბობენ გაზეთები—მალე მიუხვდა ამერიკის სურვილს, გაეცალკევებინა გერმანეთი და ავსტრო-უნგრეთი, მაგრამ ეს ვერ მოუხდაო.

რესპუბლიკა კუბას მიერ ომის გამოცხადება

ვაშინგტონი. რესპუბლიკა კუბამ გერმანიას ომი გამოუცხადა. დეპუტატთა პალატამ ამის რეზოლიუცია ერთხმად მიიღო. პრეზიდენტმა მონაკალმა დეკლარაციას ხელი დაუყოვნებლივ მოაწერა. გერმანელების გემები დაატყვევეს.

გერმანელთა გემები

ნიუ-იორკი. ამერიკის მიერ დატუსაღებულ გერმანელთა გემებს 600,000 ტონის ზიდვა შეუძლიანთ. გემების ფასი 135 000,000 დოლარია.

შეერთებულ შტატების სამზადისი

ნიუ-იორკი. პრეზიდენტმა მოიწონა კანონ-პროექტი შეერთებულ შტატებში საყოველთაო სამხედრო ბეგრის შემოღებისა. განზრახულია 1.200,000 კაცი შეაგროვონ ერთი წლის განმავლობაში. ფინანსთა მინისტრის მოხსენებით, ომის პირველი წლის ბიუჯეტი 5 მილიარდ დოლარს აღემატება. გასარჩევად წამოყენებულია საკითხი კერძო შემოსავალზე ხარჯის გაწერისა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

საუბარი პ. ნ. მილიუკოვთან

„რ. სლ.“-ს თანამშრომლისათვის საგარეო საქმეთა მინისტრს პ. ნ. მილიუკოვს შეერთებულ შტატების ომში ჩარევის გამო შემდეგი განუცხადებია: შტატების ჩარევა კვლავ მორიგ საკითხად აყენებს უილსონის ომის მიზანს. სენატში წარდგენილ ეპისტოლიდან ცხადია, რომ მას მიზნად დაუსახავს ავსტრია-უნგრეთის მონარქიის დაქუცმაცება, გაერთიანებულ პოლონეთის განთავისუფლება, ოსმალეთის დანაწილება, ზღვისაკენ გზის გახსნა იმ ერებისათვის რომელთაც ასეთი გზები არ მოეპოვებათ. უილსონის საზავო პირობებში ნათქვამია: „აღდგენა, ანაზღაურება და გარანტია“. ესე იგი გერმანიამ უნდა აღადგინოს ყველა დარღვეული უფლებანი, ვალდებულია მთელი ზარალი აუნაზღაუროს მოპირდაპირეთ და გარანტია დასდოს, რომ შემდეგში ასეთი თავდასხმა შეუძლებელი გახდეს.

ამ მხრივ მოკავშირეთა და შეერთებულ შტატების პირობები ერთნაირია.

უნდა აღვნიშნო, რომ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი გერმანელებს ჰსურთ, რადგანაც თუ ასე იაფად შენარჩუნდა ეგოდენი უკანონობანი და ამავე დროს განმტკიცდებოდა ის აზრი, რომ გერმანიამ მთელი ქვეყანა დაამხო თავისი ძლიერებით და ომი უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ დაამთავრა.

მოკავშირეთა და ამერიკის განმანთავისუფლებელი მისწრაფება მოითხოვს ევროპის გეოგრაფიული რუკა ისე შეიცვალოს, რომ მუდმივი ზავი დამყარდეს. ამისათვის სამნაწილად დაყოფილი პოლონეთი უნდა გაერთიანდეს, ავსტრია-უნგრეთის ერები უნდა განთავისუფლდეს, უნდა შეიქმნას ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფონი ჩეხსლოვაკთა, სერბიელთა მიწა-წყალი უნდა გაერთიანდეს, უკრაინაც უნდა გაერთიანდეს, ოსმალეთის ბატონობას ევროპაში ბოლო უნდა მოეღოს, მცირე აზიაში მოსახლე დაჩაგრული ერები უნდა განთავისუფლდნენ, სახელდობრ სომხეთი, არაბეთი, სირია. რუსეთის ხელში უნდა გადავიდეს სრუტეები. მხოლოდ რუსეთის ხელში გადასვლა ამ სრუტეებისა ერთად-ერთი გზაა საკითხის გადასაჭრელად, რადგანაც მათი ნეიტრალიზაცია მუდამ ომის საფრთხეში გვამყოფებდა და რუსეთი იძულებული გახდებოდა შავ ზღვაზე აურაცხელი სამხედრო ფლოტი ჰყოლოდა. სრუტეების ნეიტრალიზაცია ყველა ქვეყნის სამხედრო გემებს გზას გაუხსნიდა რუსეთის ფარგალში მდებარე შავი ზღვის სანაპიროებისაკენ, რაც ჩვენთვის დიდს საფიქრელს შეჰქმნიდა. რადგანაც ევროპიდან ოსმალეთის გაძევების თაობაზე ორი აზრი წარმოუდგენელია, ამისათვის სრუტეები უცილობლად ან რუსეთს უნდა ეკუთვნოდეს ან გერმანიას. გერმანიას ეს სრუტეები სჭირდება თავისი იმპერიალისტურ და დამპყრობით მიზნისათვის, რომელსაც მათის ფორმულით „ბერლინ-ბაღდადი“ ეწოდება. ჩვენ კი სრუტეები გვჭირდება უცხოეთში მოჭარბებულ ჭირნახულის გასაზიდად და ჩვენთვის საჭირო საქონლის შემოსაზიდად.

რევოლიუციის მსხვერპლნი

„როდესაც პირველ აჯანყებულ ჯარებს დაუშინეს თოფები, ტყვია ჰხვდებოდა არა მარტო მეამბოხეთ, არამედ გარშემორტყმულს ბრბოსაც. თავგზა არეული ხალხი მოედო ქუჩებს. საშინელება იყო. ერთი-ერთმანეთს ჰსრესდნენ, ჰქელავდნენ... ამბობდნენ, ნევა, მისი ნაპირები და მახლობელი ქუჩები დაჭრილ-დახოცილებით ამოივსოო. საარტილერიო ცეცხლის შემდეგ იმპერატორმა ნიკოლოზმა უბრძანა ობერპოლიცმეისტერს გენერალს შულგინს, დილისთვის გვამები მოკრებილი იყოსო. ღამით ისაკის ხიდიდან მოყოლებული სამხატვრო აკადემიამდე ნევაზე ჩასტეხეს ყინული და იქ ჩაუშვეს გვამები არა მარტო დახოცილებისა, არამედ დაჭრილებიც კი. ზამთრის განმავლობაში, როდესაც ყინულის ზიდვა დაიწყეს, ყინულის ნატეხს ამოსდევდა ხელი, ხან ფეხი, ხან კიდევ მთელი გვამი. როდესაც მოზაფხულდა და ყინული გადნა, მდინარის ტალღებს ზღვისაკენ მიჰქონდა აუვრებელი გვამები“...

ასე აგვიწერს ერთი თანამედროვე „დეკაბრისტთა“ აჯანყების სურათს და პირველ პოლიტიკურ რევოლიუციის მსხვერპლთა „ბრწყინვალე“ დაკრძალვას. ეს დაკრძალვა „უსახელოთა“ ძეგლის დგმაა! აჯანყებულნი დაეცნენ სახელოვან ბრძოლის ველზე, მრავალი კეთილშობილი დაეცა მტრის მახვილით გულ-გაგმირული. 13 ივლისს 1826 წ. პეტრეპავლეს ციხის გორაკთან ჩამოახრჩობილ იქმნენ მგოსანი რილეევი, კახოვსკი, პესტელი, მურავიოვი და სხვები. მათი საფლავები დღესაც არ უწყიან სადაა. ამბობენ, სმოლენსკის სასაფლაოზეა, ღერბაუს ბრძანებით ღამით მიიტანეს და საიდუმლოდ დაკრძალესო.

ასი წლის განმავლობაში რუსეთის რევოლიუციის მსხვერპლნი დიდად ემატებოდნენ წამებულთა რიცხვს. მათი აღრიცხვა ყოვლად შეუძლებელია, თუმცა ბევრსა სცდილობდნენ თუნდა ისეთი მკვლევარნიც კი, როგორც არიან ვლ. ბურცევები.

შედარებით წლევანდელი რევოლიუცია ნაკლების ზარალით დასრულდა. რუსეთი ამ მსხვერპლთა ბრწყინვალე დაკრძალვასთან ერთად დღესასწაულობს ყველა რევოლიუციონურ წამებულთა სახელს“... („რ.“)

ზავის პირობები.

პარიზიდან იტყობინებიან: ამას წინად გერმანელთა საზავო პირობები გამოსცა „მატენ“-ს შეერთებულ შტატებიდან. პირობები დასავლეთს ეხება: გერმანელებმა უნდა დასტოვონ ბელგიეთი, თუმცა დიდ ქალაქებში შეციხოვნე ჯარს დასტოვებენ და რკინის გზებს კანტროლს გაუწევენ. უნდა დასცალონ აგრეთვე საფრანგეთის მიწა-წყალი, დასტოვებენ მხოლოდ ბრიეს, ლონგვის და რამდენიმე სტრატეგიულ ადგილს; საფრანგეთმა აგრეთვე უნდა გადაიხადოს კონტრიბუციად 15 მილიარდი ფრანკი.

გერმანეთში

ნიუ-იორკიდან იტყობინებიან: გაზ. „ივნინგ მეილ“-ში ბერლინიდან მიღებული დეპეშაა მოთავსებული სადაც ნათქვამია: თუმცა ბეტმან-ჰოლვეგი წინააღმდეგი იყო, მაგრამ რაიხსტაგმა მაინც დაადგინა, 28 კაცისაგან კომისია აირჩიოს კონსტიტუციის გადასასინჯად.

საბერძნეთი

ინგლისის თემთა პალატაში ირლანდიის ნაციონალისტი დეპუტატი ლინჩი საგარეო საქმეთა მინისტრს ბალფურს შეეკითხა: მართალია თუ არა, რომ საბერძნეთის მეფე კონსტანტინეს კავშირი აქვს ვილჰელმთან და შესაძლებელია თუ არა ბალკანეთში უფრო გაბედულად და გადაჭრით ვიმოქმედოთო. მინისტრმა პირველ კითხვაზე პასუხი არ გასცა, მეორეზე კი უარით უპასუხა. დეპ. ლინჩი შეეკითხა: საბერძნეთში შექმნილი გარემოება ხომ არ ემსგავსება რევოლიუციის წინ რუსეთში შექმნილ მდგომარეობასაო? ბალფურმა უპასუხა: ისტორიული შედარებანი სახიფათოა და ამ საკითხზე არ მსურს საუბარიო.

უკანასკნელი ცნობები

კიევის სამხედრო ოლქი უკრაინის ოლქად გადაქციეს.

—

პეტროგრადში მიდის დეპუტაცია უკრაინის შეერთებულ საზოგადო ორგანიზაციათა ცენტრალ საბჭოს დეპუტაცია იმ აზრით, რომ დროებით მთავრობას აღიარებინოს უკრაინის უფლება ავტონომიისა.

დეპეშები

(„საქარ.“ საკ. კორეს.)

სიღნაღი. ქვემო ქიზიყის მოსახლეობამ მრავალრიცხოვან კრებაზე 25 მარტს, დაადგინა: სალამს ვუძღვნით ახალ მთავრობას, მოვითხოვთ საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიას 1783 წლის ხელშეკრულების ძალით, საქართველოს თავისუფლებას თავისუფალ რუსეთში და საერთო ბრძოლას თავისუფალ რუსეთის მტერთა წინააღმდეგ.

ქიზიყის ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

—

◆ **სიღნაღი.** სოფ. ქვემომაჩხაანისა, ჯუგაანისა, ზემო-მაჩხაანისა, მირზაანისა, არბოშიკისა, ფანიანისა და ქვემო-ქიზიყის სხვა სოფლების მკვიდრთ მრავალ-რიცხოვან კრებამ დაადგინეს: მედგრად იბრძოლეთ ტერიტორიალურ ავტონომიისა და კერძო საკუთრებისათვის, ჩვენ თქვენთან გვიგულეთ.

ქიზიყის ეროვნულ-დემოკრატიული კომიტეტი.

—

დუშეთი. ქალაქ დუშეთში გაიმართა თავისუფალ მოქალაქეთა და დუშეთის გარნიზონის თავისუფალი მიტინგი, რომელზედაც დაესწრნენ თბილისიდან ჩამოსული მუშათა საბჭოს წარმომადგენელნი. ყველანი აღფრთოვანებით ეგებებიან რუსეთის რევოლიუციას, სალამს უძღვნიან რუსეთის დიდს ხალხს და რუსეთისავე დიდებულს ლაშქრობას რევოლიუციონური მთავრობითურთ. ფიცს სდებენ საკუთარის მკერდით დაიცვან დემოკრატიულ-რესპუბლიკანური წესწყობილება, რაიც ლოზუნგად გაიხადა ახალმა მთავრობამ.

მიტინგის თავმჯდომარე
დიმიტრი ჭიაბრიშვილი.

ახალი ამბავი

◆ **ამიერ კავკასიის კომიტეტი და საგანგებო სათათბირო.** დროებითი მთავრობის ამიერ კავკასიის კომიტეტის წევრებმა კიტა აბაშიძემ, ჯაფაროვმა და პაპაჯანოვმა საჭიროდ სცნეს მოაწყონ საგანგებო სათათბირო, რომელიც მასალას შეაგროვებს და საკითხს გამოარკვევს ამიერ კავკასიაში მართვა-გამგეობის საქმეების მოწყობის შესახებ. სათათბიროში მიწვეულნი არიან სამ ეროვნების—ქართველთა, მუსულმანთა და სომხეთა მხრივ ექვს-ექვსი წარმომადგენელი. სათათბიროს მიერ შემუშავებულ საკითხებს კომიტეტი გამოიყენებს მასალად. სათათბირო უკვე შესდგა. აღნიშნულ კომისარების შეხედულობით იმაში მიწვეულნი არიან წევრებად: გ. გვაზავა, გ. ჟურული, გ. ლასხიშვილი. გ. რცხილაძე, ნ. რამიშვილი, ნ. ჟორდანია, თოფჩიბაშევი, ექ. სულთანოვი, ხან ხოისკი (მუსულმანებს სამ კაცზე მეტი არ [illegible] ჯერ), ა. ხატისოვი, ს. არუთინოვი, არაქელიანი, ჯამალიანი, ა. ბაბოვი და ერზინკიანი.

◆ **საქართველოს ავტონომიის მომხრე** ქალები ახლო-მომავალში იწვევენ დიდს კრებას, რათა აღძრან საკითხი და გამონახონ საჭირო საშუალებანი ავტონომიის განსახორციელებლად.

◆ **ეპისკოპოს გიორგის** ქუთაისიდან ამ დღეებში მოელიან თბილისში.

◆ **არქიმანდრიტი ამბროსი** (ხელაია) ამ დღეებში ჩამოვა რუსეთიდან.

◆ **ბრძოლა გადამდებ სნეულებისა და უსუფთაობის წინააღმდეგ.** დროებითი მთავრობის ამიერ-კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი ხარლამოვი თითონვე დარწმუნებულა, რომ ამიერ-კავკასიაში ბევრს ადგილას, მათ შორის თბილისშიაც, ერთობ ფეხმოკიდებულია სხვა და სხვა გადამდები სნეულება და საერთოდ ანტისანიტარული მდგომარეობა გამეფებული. ასეთი მდგომარეობა დიდად სახიფათოა ყველა მცხოვრებთათვის და განსაკუთრებით კი ჯარებისათვის. ამიტომ ბ-ნ ხარლამოვს გადაუწყვეტია მოიწვიოს სათათბიროდ სხვა და სხვა უწყება-დაწესებულებათა წარმომადგენელნი და სხვა მცოდნე კაცები იმის გამოსარკვევად, თუ რა ღონე უნდა იღონონ ამის წინააღმდეგ.

◆ **ჟურნალისტების კრება.** 25 მარტს თბილისის ჟურნალ-გაზეთების თანამშრომლებს ჰქონდათ კრება, რომლის საგანი იყო ბეჭვდითი ბიუროს დაარსება. გადასწყვიტეს დაარსდეს შვიდის კაცისაგან ამიერ კავკასიის ბეჭვდითი ბიურო, რომელნიც უნდა აარჩიონ თბილისის ჟურნალ-გაზეთების რედაქციების წარმომადგენლებმა. ბიუროს უნდა კავშირი ჰქონდეს ამიერ-კავკასიის საგანგებო და აღმასრულებელ კომიტეტებთან, ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოებთან და აგრეთვე ყველა საზოგადოებრივ, პოლიტიკურ თუ მთავრობის დაწესებულებებთან, რომ შეაგროვოს ყველა საყურადღებო ცნობები და მიაწოდოს ბეჭვდითი ორგანოებს. ჯერ-ჯერობით არჩეულია დროებითი ბიურო, რომელიც უკვე შეუდგა საქმის მოსაწესრიგებლად საჭირო თანხის გამოძებნას; ბიურო მოთავსებულია ყოფილ მეფის ნაცვლის სასახლეში.

◆ **სასურსათო საქმე.** თბილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტის კომისარიატმა მიმართა თბილისის მოვაჭრეებს, რომ 2 დღის განმავლობაში მიაწოდონ მათ უტყუარი ცნობები შესახებ იმისა, თუ რამდენი და რაგვარი საქონელი მოეპოვება მათ. წინააღმდეგ შემთხვევაში რაც რომ საქონელი აღმოაჩნდებათ მათ, იგი ნამალევად ჩაეთვლებათ, ნიხრის კვალობაზე საჯარო გასასყიდად.

◆ **თბილისის რუსთა სამღვდელოებას** საგანგებო კომისია აურჩევია, რომელსაც დავალებული აქვს გამოარკვიოს, თუ როგორი ურთიერთობა იქონიოს ქართველთა სამღვდელოებასთან.

◆ **სასახლის ბაღი,** სამხედრო მინისტრის განკარგულების თანახმად, ქალაქის თვითმართველობის ხელში უნდა გადავიდეს.

◆ **ბ-ნი ურუსოვი,** საშინაო საქმეთა მინისტრის ამხანაგი, დეპეშით სთხოვს ამიერ-კავკასიის კომიტეტს შეატყობინოს მას, თუ ვინ განაგებს ამ ჟამად გუბერნიებს და მაზრებს; აგრეთვე შეატყობინოს, რა ღონისძიებაა მიღებული სამაზრო და სასოფლო პოლიციის გამოსაცვლელად.

◆ **ქალაქის საბჭომ** 27 მარტს მოისმინა გამგეობის მოხსენება ქალაქის სასურსათო საქმეების შესახებ: როგორც ვიცით, ქალაქის სასურსათო კომიტეტი უკვე მოეწყო, რომელშიაც არც ჯაბარია არჩეული და არც ერთი ხმოსანი, საქმის ასე დატრიალება არ მოსწონებია ქალაქის გამგეობას და საბჭოს ურჩევდა, რომ სასურსათო საქმეს ნუ გადაესცემთ ახლად შემდგარ კომიტეტსო. წინადადებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია, მაგრამ საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა და მისი გადაწყვეტა შემდეგისათვის გადაიდვა.

◆ **მდივნების მიწვევა.** ამიერ კავკასიის კომიტეტის წევრმა კიტა აბაშიძემ თავისს მდივნად მიიწვია გ. ჟორდანია, მეორე წევრმა აკაკი ჩხენკელმა მიიწვია მდივნად ექიმი მამულია.

◆ **თბ. ქართველ ქალთა** საზოგადოების საერთო კრებამ 25 მარტს დაადგინა: ორას-ორასი თუმანი მისცეს ეროვნულ საჭიროებისათვის ქართველ სოც.-ფედერალისტთა და ქართველ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიებს. დაადგინა აგრეთვე თავის ხარჯით იყიდოს სათესლე პური და ქართველ გლეხებს დაურიგოს.

◆ **მოხსენება ავტონომიის შესახებ.** თბ. ქართველ ქალთა საზოგადოებაში ამ მოკლე ხანში წაიკითხავენ მოხსენებას საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიის შესახებ.

◆ **კოშია ცომაია,** საერობო დარაჯთა უფროსი შეუპყრიათ სამტრედიაში. შეპყრობის უმალვე ცომაიას თავი მოუკლავს.

◆ **კიდევ ჯაშუში.** შეიპყრეს თბ. აღმასრულებელ კომიტეტის სახელით ვლადიმერ დიანოზის ძე კალანდაძე— ყოფილი თანამშრომელი „ოხრანკისა“.

◆ **საქართველოს საკათალიკოსო.** კავკასიის კომისარიატს პეტრესქალაქიდან ტელეგრამით ატყობინებენ, რომ საეკლესიო საქმეთა გამგე-კომისრად გზავნიან პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორს ბ-ნს ვ. ბენეშევიჩსაო. პროფესორი ბენეშევიჩი ცნობილი ბიზანტიოლოგია და სპეციალისტი საეკლესიო უფლებისა. დიდხანს მუშაობდა პროფ. მარის ხელმძღვანელობით და სწავლობდა ძველ ქართულ საეკლესიო მწერლობას.

◆ **სახელმწიფო თეატრის** მოვლა-პატრონობის შესახებ მოხსენების შემუშავება ამიერ კავკასიის დროებითმა კომიტეტმა მიანდო ბ-ნ პაპაჯანოვს.

◆ **დაღესტნის კომისრად,** როგორც საბოლოოდ გამოირკვა, დროებით მთავრობას დაუნიშნავს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ბ-ნი ჰაიდაროვი.

◆ **დატუსაღება.** 28 მარტს დაატუსაღეს თბილისის პოლიციის ყველა ნაზოქაულარი და დანარჩენი პოლიციელები. როგორც ამბობენ, დროებითი მთავრობის განკარგულებით, ისინი ყველანი გაიგზავნებიან ბრძოლის ასპარეზზე.

გურჯაანი

გურჯაანის შემნახველ-გამსესხებელ ამ-ბის გამგეობამ შემდეგი დეპეშა გაგზავნა საზოგადო კრების დავალებით ახალ მთავრობის სახელობაზედ: „პეტროგრადი, მინისტრთა თავმჯდომარეს თ. ლვოვს. ამხანაგობის საზოგადო კრება უძღვნის რა დროებით მთავრობას მხურვალე მილოცვას დიდი რუსეთის მშრომელ ხალხის განთავისუფლების გამო ძველი რეჟიმის უღლისაგან, იმედოვნებს, რომ ამიერიდან კოოპერატივები,, რომელთა დანიშნულება არის სამსახური მშრომელ ხალხის ეკონომიურ და კულტურულ მისწრაფებათა, თავისუფლად განვითარდებიან თავისუფალ რუსეთში და რუსეთის სახელმწიფო ფარგალში შესულ მრავალტანჯულ საქართველოში, რომელიც იქნება მოწყობილი დემოკრატიულ ტერიტორიალურ ავტონომიის ნიადაგზედ. ნიშნად საერთო განუსაზღვრელ სიხარულისა სა-ბამ გადასცა დროებით მთავრობის განკარგულებაში თავის მცირე მოგებიდან ასი თუმანი ომის საჭიროებისათვის, რომელიც უნდა დაგვირგვინდეს სრულის გამარჯვებით მტერზედ.

◆ **საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი** თელავის და თიანეთის მაზრების მცხოვრებთა საყურადღებოდ ამით აუწყებს, რომ მიხეილ კიკნაძეს, რომელიც გაზეთ „სახალხო ფურცლის“ ცნობით, პორუჩიკის ფორმით დადიოდა სოფელ-სოფელ, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სახელით სხვა და სხვა განკარგულებას აძლევდა და სახალხო ფულს იღებდა, არავითარი დამოკიდებულება პარტიასთან არ ჰქონდა. ხსენებული მიხეილ კიკნაძე ეროვნულ-დემოკრატიულ კომიტეტის განკარგულებით შეპყრობილ იქმნა სოფ. გურჯაანში, გაიგზავნა თიანეთში და გადაეცა თიანეთის გამომძიებელს.

◆ **კრებები სოფლად.** 25 მარტს სოფ. გლდანში შეიკრიბნენ ავჭალის საზოგადოების 6 სოფლის მცხოვრებნი. კრებას დაახლოვებით დაესწრო 800 კაცამდე. ხალხს მცოდნე კაცებმა განუმარტეს ახლანდელი ხანა და ურჩიეს დაემხრონ დროებით მთავრობას და დაიცვან წესრიგი. ხალხი აღტაცებით მიეგება ნალაპარაკევს და აირჩია ათამდე დეპუტატი, რომელთაც თავიანთ მხრივ უნდა აირჩიონ სასოფლო კომიტეტი. არჩეულმა კაცებმა იმავე დღეს გადააყენეს წინანდელი სოფლის მოხელენი.

◆ **ქ. თბილისის** პირველ დაწყებითი სკოლების მასწავლებლების ნივთიერი მდგომარეობა ამ ჟამად მეტად გაჭირვებულია, რადგან აგერ 7 თვეა დღიური არ მიუღიათ და არც ორი თვის სამხედრო დამატებითი ჯამაგირი.

◆ **საეპარქიო საქალებო სასწავლებლის** 8 კლასი წელსულ დაამთავრა 8 ქალმა. ამათში 6 ქართველია: ახმეტელაშვილისა ან. ბაკურაძისა საყვარელი, ელისაბედაშვილისა მარიანა, ლუკაშვილისა ელენე, მაისურაძისა ნინო და ქიქვაძისა ელენე.

◆ **თბილისის გუბერნიის** სასურსათო კომიტეტის რწმუნებული აგრონომი გ. ვ. დალაქიშვილი ჩრდილო-კავკასიიდან თბილისისაკენ გამოემგზავრება 30 მარტს.

◆ **თბილისის პოლიციის კომისარი** ნაფიც ვექილის თანაშემწე ასათიანი ნაფიცი ვექილის თანაშემწე ალექსანდრე ს. ასათიანი არ არის.

◆ **მეაბრეშუმეთა საყურადღებოთ.** გორის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ მიიღო გამოცდილი აბრეშუმის ჭიის თესლი 1000 მისხალი. მისხალი იყიდება 80 კაპ. კარგი ჯიშების ჭიის თესლია.

◆ **საქველმოქმედო წარმოდგენა.** კვირას, 26 მარტს, ავლაბრის თეატრპალასში წარმოდგენილ იქმნა ოპერა არშინ-მალ-ალან. წმიდა შემოსავალი 400 მანეთი გადაიდვა მუშათა დეპუტატების საბჭოს სასარგებლოთ.

◆ **ქართული წარმოდგენა.** სამშაბათს, 4 აპრილს, ელ. ჩერქეზიშვილის, ვას. აბაშიძის და ნ. გვარაძის მონაწილეობით, ქალ. გორში გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენა: წარმოდგენილი იქნება მხიარული კომედია „მე მინდა კნეინა გავხდე“ და „კოცნა პირველი და უკანასკნელი“.

◆ **პოლონელთა დელეგაცია ამიერკავკასიის კომისრებთან.** 26 მარტს, ამიერ-კავკასიის დროებით მთავრობას წარუდგა თბილისის პოლონელთა კოლონიის წევრთა დეპუტაცია ეპისკოპოს ბარონ როპის მეთაურობით და თავისი წრფელი გრძნობები გადასცა პოლონელთაგან. დეპუტაციის ერთი წევრი მიესალმა კიტა აბაშიძეს და განუცხადა: მე დავალებული მაქვს პოლონელთა საზოგადოებისაგან მივესალმოთ, როგორც წარმომადგენელს, იმ ქართველ ერისა, რომელიც მუდამ ძმურ და კეთილ განწყობილებაში იყო პოლონელებთან. ვისურვებ, ქართველმა ერმა მალე მიაღწიოს თვის დიდიხნის ოცნებას და მოიპოვოს სრული თავისუფლება. კიტა აბაშიძემ მადლობა განუცხადა დელეგატს და უთხრა, რომ მეგობრობის უხილავი ძაფები მაგრად გაბმული იყო პოლონელთა და ქართველთა შორის და როდესაც ქართველ ერს თავისი ეროვნული ინტერესების დამცველი არა ჰყავდა, თავის ინტერესების დაცვა პოლონელთა დეპუტატ ლედნიცკის მიანდო და მისგან გაისმა ქართველთათვის „მაგიერი სიტყვა ავტონომია“. დელეგაციამ ნებართვა ითხოვა, ეს ამბავი დეპეშით ეცნობებინა ბ-ნი ლედნიცკისათვის.

◆ **„ნაკადული“.** მოგვივიდა საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ მორიგი ნომრები № 5 მცირეწლოვანთათვის და № 2 მოზრდილთათვის.

◆ **ახალი გაზეთი.** ქართველ მხედართა კავშირი (აფიცრები და ჯარის კაცნი) ქართულ-რუსულ გაზეთის გამოცემას აპირებენ, რომელშიაც, სხვათა შორის, გაშუქებული იქნება, თუ რა მიზანი დაუსახავს კავშირს და აგრეთვე ქართველი ერის პოლიტიკური საჭიროება-მისწრაფებანი.

ზესტაფონი.

საქარის სანერგეს მევენახეობისა და მეღვინეობის სავარჯიშო სკოლაში სწავლა დაამთავრეს: რ. ჭვალიაძემ, გ. ნასიძემ, ვ. გულიაშვილმა, ვ. სულუხიამ, შ. ვაწაძემ და შ. მინდაძემ. სულ ექვსმა კაცმა.

ქ. გორი.

29 მარტს საღამოს 7 საათზედ თვითმართველობის დარბაზში შესდგება გორის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წლიური კრება. განსახილველია: 1. წარსული წლის მოქმედება, 2. მომავალი წლის მოქმედების და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება, და 3. დღიური საკითხები. მოწვევის ბარათები წევრებს არ გაეგზავნებათ.

თელავი.

აქაურ ტუსაღებმა, სამი დღის სიმშილობის შემდეგ, არეულობა მოახდინეს ციხეში.—ჩალეწეს ფანჯრების მინები, შემდეგ ეცნენ კარებს და მტვრევა დაუწყეს. მაგრამ ვერ შესძლეს. მალე გაჩნდნენ ციხის კარებთან ჯარის კაცნი და რამდენიმე მილიციელი, რომლებმაც გარედგან შესაშინებლათ ჰაერში დასცალეს თოფები. ორ მილიციელს, როგორც ირკვევა, კარებისთვის უსროლია რამდენჯერმე. ორი ტუსაღი დაიჭრა მძიმეთ, რის შემდეგაც სიწყნარე ჩამოვარდა. როგორც გაიგეთ, არეულობა იმ ტუსაღების წაქეზებით მომხდარა, რომლებიც აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, ახლათ შერიგებულ ტყის კაცების მიზეზით ყოფილან დატუსაღებულნი და თხოულობდნენ: „თუ ისინი გაანთავისუფლეთ, ჩვენ რატომ აღარ გვიშვებთო“.

— 21 ამ თვეს, მოხდა თელავის და მის მაზრის სამღვდელოების კრება. სიხარულით შეეგებნენ საქართველოს საკათალიკოსოს აღდგენის ამბავს და შემდეგ დაარსეს აღმასრულებელი კომიტეტი. ძველი კეთილმოწესენი ახლებით შესცვალეს. გარდა ამისა, ამოირჩიეს სამი მღვდელი თელავის აღმასრულებელ კომიტეტში შესასვლელად: ეპიფ. ჯაოშვილი, დიმ. დეკანოზიშვილი და კონდოლის მღვდელი ცუცუნაშვილი.

— აქაურ საპატიმროდან გაანთავისუფლეს 40 არა-პოლიტიკური დამნაშავე.

— იმ ორ პატიმართაგან, რომელნიც საპატიმროში არეულობის დროს დასჭრეს მილიციონერებმა, ერთი უკვე გარდაიცვალა.

— აქ ყველა სასწავლებლების მოწაფენი დაითხოვეს საზაფხულოთ.

— სოფ. შილდაში (თელ. მაზ.) ღამის 11 საათზე, სახლში შეუცვივდა სამი შეიარაღებული უცნობი ალექსა ელიზბარაშვილს და მთელი ოჯახი ამოსწყვიტეს. მოკლეს თვით ალექსი, იმის ცოლი და 3 წლის პატარა ქალი. მათს წივილ-კივილზე შევარდა მათივე მეზობელი გიორგი ჩიტოშვილი მისაშველებლათ, მაგრამ ისიც იქვე დასჭრეს სასიკვდილოთ ავაზაკებმა თოფის ტყვიით. წაღებით-კი ვერაფერი წაიღეს, რადგანაც მთელი სოფელი ახმაურდა და ყველამ ამ სახლს მიაშურა ამბის გასაგებათ. იმ ღამესვე შეიარაღდა 300 კაცამდე, ვინც რით მოასწრო და გამოუდგა მდევარი ყაჩაღებს.

— აღმასრულებელმა კომიტეტმა, ათი დღით აუკრძალა ვაჭრობა და ყველას დაუბეჭდა ღვინო-არაყის დუქან-სარდაფები.

— მომხმარებელ საზოგადოებამ, 23 ამ თვეს დაიწყო დარიგება თვის წევრებზე, ორ-ორი გირ. შაქრის ფხვნილისა.

საქართველოს შრომის კავშირი

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ „ქართველის“ ინიციატივით, რომლის წერილები მოთავსებულია „საქართველოს“ მე-66 და მე-68 ნომრებში, არსდება **„საქართველოს შრომის კავშირი“**. კავშირს აზრად აქვს მატერიალური აღორძინება ქართველ ხალხისა, ორგანიზაცია შრომისა ყველა სფეროში.

კავშირის წესდება უკვე შედგენილია და ხუთშაბათს, 30 მარტს, საღამოს 7 საათზე, დანიშნულია პირველი დამფუძნებელი კრება სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოში (ბელინსკის ქუჩა, № 2), წესდების განსახილველად.

კრებაზე შეიძლება დაესწროს ყველა, ვისაც სურს ამ საქმის ორგანიზაციას ხელი შეუწყოს.

საქართველოს საკათალიკოსო

მისალოცი დეპეშები:

მოსკოვი. ქართველი სტუდენტობა ხარობს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის გამოცხადებით.

ლორთქიფანიძე.

შუშა. მივესალმებით ივერიის თავისუფალ ეკლესიას. ხოლო თქვენ, ხალხის არჩეულს, გისურვებთ ძალასა და ენერგიას თქვენის მშობლიურ ეკლესიის დიად აღმშენებლობისათვის თავისუფალ საქართველოს საკეთილდღეოთ. თქვენის ლოცვა-კურთხევის მავედრებელი თავმჯდომარე ყარაბაღის აღმასრულებელ კომიტეტისა.

მელიქ შახნაზაროვი.

მოლოდეჩნო. მე-14 გრენადერთა ქართული პოლკი მოქმედ ჯარის შორეულ დასავლეთის ფრონტიდან ჩემთან ერთად სასიხარულო სალამს უგზავნის საქართველოს ავტოკეფალურ უფლებათა აღდგენის ამბავს. საქართველოს ერმა თვისის სამღვდელოების მეთაურობით რუსეთის თავისუფლების დიდებულ დღეებში დეე უშიშრათ განამტკიცოს წართმეულნი უფლებანი ძველის ივერიის ეკლესიისა, რომელიც ტლანქ ჯალათთა მკრეხელის ხელით ესდენ გვემულ და გაძარცულ იქმნა.

მღვდელი კელენჯერიძე.

პრაპ. ვლ. ჩოდრიშვილი
მოკლულ იქმნა მარიამ. 18-ს, 1916 წ. ავსტრიის ფრონტზე.

ეროვნული საკითხი

(პეტ. დეპ. სააგ.)

უკრაინა

კიევი, 26 მარტი. გამოვიდა პირველი ნომერი უკრაინულ ყოველ-დღიური გაზეთის „ნოვა რადა“-სი.

ირლანდია

ლონდონი. კვირაცხოვლობის კვირაში მთავრობამ დუბლინში მიტინგები აკრძალა.

ფინეთი

ჰელსინგფორსი. 23 მარტი. ფარულ კენჭის ყრით ამოირჩიეს სეიმის პრეზიდენტი. ტალმანად აირჩიეს მუშათა გაზეთის რედაქტორი მანესი, სოციალ-დემოკრატი, ვიცე-ტალმანად პროფესორი იგმანი, სტაროფილი და ჟურნალისტი იოკინენი, სოციალ-დემოკრატი.

პოლონეთი

ლონდონი. თემთა პალატა. გარეშე საქმეთა მინისტრს ბალფურს შეეკითხნენ, მიიღეთ თუ არა რუსეთისაგან ოფიციალი ცნობა პოლონეთის სამეფოს აღდგენის შესახებო. ბალფურმა უპასუხა, ამ საკითხზე შემიძლიან დადებითი პასუხი მოგცეთო.

ციურიხი. შვეიცარიის უკრაინელთა ბიურომ მილიუკოვს მიმართა და განუცხადა, რომ სრულიად უკრაინელთა ხალხს სურს, რომ მისი სამშობლო სრულუფლებიანი ჰნახოს და ამის იმედიცა აქვს.

კიევი. პეტროგრადს მიემგზავრება უკრაინელთა საზოგადო ორგანიზაციების ცენტრალი საბჭო, რათა მთავრობას წინადადება მისცენ, რომ მან უკრაინის ავტონომია პრინციპიალურად აღიაროს.

პეტროგრადი. რესპუბლიკანელ ჯარის კაცთა კავშირმა დაადგინა ომი ბოლომდის მიიყვანოს და ამით დაიცვას რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკაც და ეროვნებათა თვით-გამორკვევის უფლებაც.

ქართული სოც.-დემოკრატები და ავტონომია

27 მარტს, საღამოს, „ახალ კლუბის“ თეატრის დარბაზში კრება ჰქონდათ სოციალ-დემოკრატებს. დარბაზი ხალხით აივსო. კრებას რამდენიმე სომეხი და რუსი სოც.-დემოკრატიც დაესწრო. კრება კარჩაკეტილი იყო და წმინდა პარტიული ხასიათი ჰქონდა, ე. ი. არა სოც.-დემოკრატს დასწრების ნება არ ჰქონდა. კრებაზე ვრცელი მოხსენება წაიკითხა პავლე საყვარელიძემ საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიის შესახებ. მოხსენება ფრიად საინტერესო და საყურადღებო იყო, განსაკუთრებით დამსწრეთათვის, რადგან ქართველ სოციალ-დემოკრატებმა ქართველსავე სოც.-დემოკრატისაგან საქართველოს შესახებ საჯაროდ პირველად მოისმინა ასეთი აზრი. დედა-აზრი პავლე საყვარელიძის მოხსენებისა ის არის, რომ ქართველმა ერმა უნდა მოიპოვოს პოლიტიკური ავტონომია თავის ტერიტორიალურ ისტორიულ საზღვრებში. თავის დედა-აზრის გასაშუქებლად მომხსენებელმა ბევრი დასამტკიცებელი საბუთები მოიყვანა სხვა ქვეყნების სოციალ-დემოკრატთა და ავტორიტეტ სოციალ-დემოკრატთა გადაწყვეტილება-მისწრაფება-ნაწერებიდან. მოხსენების წინააღმდეგნი იყვნენ ფილიპე მახარაძე და თ. კალანდაძე. წინააღმდეგი აღმოჩნდა აგრეთვე ტოლსტოველი ილია ნაკაშიძე, რომელიც ამტკიცებდა, რომ საქართველოს ავტონომიით სხვა, მეზობელი ერები დაიჩაგრებიან, და ამიტომ სამართლიანობა მოითხოვს თავი დავანებოთ ავტონომიას, მეზობლებს არ ვაწყენინოთო. მაგრამ კრების დიდი უმრავლესობა საყვარელიძის აზრს აშკარად მიემხრო და მრავალჯერ ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვა იგი. სხვათა შორის, ერთმა ახალგაზრდა პოეტმა განაცხადა, რომ ჩემი სამშობლო ქვეყანა ძალიან მიყვარს, მისი თავისუფლება მუდამ ჩემს ოცნებას შეადგენდა, რასაც დღეს საყვარელიძე ამტკიცებს, ეს დიდი ხანია ჩემს გულის ნადებს შეადგენდა, მაგრამ თქმას ვერ ვბედავდიო. კრებამ სურვილი გამოთქვა, რომ საკითხი საქართველოს ავტონომიის შესახებ ფართო მასაში გადავიდეს, აგიტაცია გასწიონ და შემდეგ ეს საკითხი წარუდგინონ განსახილველად და გადასაწყვეტად ჩვენის ქვეყნის დელეგატთა საერთო კრებასო.

ბაზრის აკლება-დარბევა თბილისში

26 და 27 მარტს ბრბომ, რომელიც შესდგებოდა უმთავრესად დედაკაცებისაგან და უიარაღო დეზერტირებისაგან, დაარბია ბაზრის რამდენიმე დუქანი, გაიტაცეს ქათმები, კარაქი და სხ. ამ არეულობის დროს, სხვათა შორის დაარბიეს „ქართლის“ ამხანაგობაც და კოოპერატივი „მეურნეც“. არავითარმა სიტყვებმა და ახსნამ ვერ დაიფარა ეს ორი კოოპერატივი დარბევისაგან. „ქართლიდან“ გაიტანეს უმთავრესად თაფლი და ვაშლის ჩირი, რაიც არ შეადგენს პირველ მოთხოვნილების საგანს და არც არასდროს არა ყოფილა დამალული. აქ მოქმედებდა პირდაპირ რამდენიმე პირი, რომელიც აღელვებდა ისედაც აღელვებულ ხალხსა თავისი ხულიგანური მოქმედებით და სიტყვებით, პირდაპირ ყურადღებას იქცევდა ვინმე ოქროპირიძე (როგორც ამბობენ, მსახურებს საერობო კავშირში, вещевой отдѣлъ), რომელიც დილიდან საღამომდე დაძვრებოდა ხალხში, ეჩურჩულებოდა ვიღაც ორ მსხვილ სომეხ ვაჭარს და რამდენჯერმე დამშვიდებული და რიგში ჩამდგარი ხალხი შეიარაღებული სალდათების და მილიციის წყალობით კვლავ გაახელა თავისის ყვირილით: კოოპერატივები ეს ცარიელა სახელია, ეგენიც მყვლეფავები და სისხლის მსმელები არიანო, დაამტვრიეთ ყველაფერი და მეურნესაც ასე უნდა უყოთო. ეს იყო 26-ს და 27-ს „მეურნესაც“ იგივე დღე დააყენეს. ასეთი ექსცესები ხელს არ უწყობენ, რასაკვირველია რევოლიუციასა და ახალ მთავრობას, და ამიტომ ზომები უნდა იყოს მიღებული ნამეტნავად ისეთ ვაჟბატონების წინააღმდეგ როგორიც ოქროპირიძენი და მსგავსნი მისნი არიან.

სასოფ. სამეურნეო ბანკის წევრთა წლიური საზოგადო კრება

26 მარტი.

კრება გაიხსნა დღის 11 საათზე. თავმჯდომარედ კრებისა არჩეულ იქმნა ე. ს. თაყაიშვილი, მდივნად გ. ი. ანდრონიკაშვილი. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულ ა. თ. ყიფშიძის ხსოვნას, რომელიც ბანკის საბჭოს დეპუტატად იყო. შემდეგ წაკითხულ იქმნა მოხსენებანი გამგეობისა, საბჭოსი და სარევიზიო კომისიისა ბანკის მოქმედებისა და მდგომარეობისა საანგარიშო 1916 წლის განმავლობაში. რადგან ზოგიერთი მოხსენებანი და ბანკის ანგარიშიც რუსულად არის დაწერილი, ამან შენიშვნა გამოიწვია დამსწრეების მხრივ. 1916 წელს ბანკს დაუტრიალებია 45 469.399 მან. 30 კაპ., წინა წელთან შედარებით 21.138.796 მან. 96 კაპ. მეტი. საანგარიშო წელს ბანკიდან გასულა 144 წევრი, მაგრამ ამავე დროს ჩაწერილა 160 ახალი წევრი და საწევრო ფული გაზდილა 252,524 მან., რის გამო საწარმოვო თანხა წინა წლისა გაუზდია 45.755 მან. ვექსილები დაუხურდავებია ბანკს 1.696.775 მან. 36 კაპ., წარსულ წელთან შედარებით 128.209 მან. 34 კაპ. მეტი, საანგარიშო წელში საქონლის გირავნობის ქვეშე სესხი გაუცია 376 545 მან. 66 კაპ., წინანდელ წელთან შედარებით 282.321 მან. 66 კაპ. მეტი, პროტესტში წასულა 7.079 მან. 36 კ. ვექსილები წინა წელთან შედარებით 1.659 მან. 36 კაპ. ამ ვექსილებიდან გადახდილია 6.394 მან. 09 კ., ზარალში გადაიწერა 685 მ. 27 კ. სულ არის ზარალში გადაწერილი 2291 მ. 14 კ., წინა წელთან შედარებით 686 მ. 51 კ. ნაკლები. საერთო მოგება ჰქონია ბანკს 167.966 მ. 52 კაპ., წინა წელთან შედარებით 59 279 მ. 21 კაპ. მეტი. მოსამსახურეთა ჯამაგირები და სხვა ხარჯები უდრის 31.643 მან. 73 კ, საოპერაციო და სხ. ხარჯები 88.122 მ. 48 კ. წმინდა მოგება დარჩენილა 44.154 მან. 59 კ, წინა წელთან შედარებით 19.144 მ. 32 კ. მეტი.

ანგარიში დამტკიცებულ იქმნა.

შემდეგ განხილულ და შეწყნარებულ იქმნა გამგეობის შემდეგი შინაარსის პროექტი: 1) ბანკის გაცემული უმცირესი სესხი უნდა უდრიდეს 400 მანეთს, ნაცვლად 100 მანეთისა, როგორც აქამდისინ იყო; უდიდესი სესხი უნდა უდრიდეს 20.000 მანეთს, ნაცვლად 5.000 მანეთისა, 2) სესხი სადა ვექსილებითაც გაიცეს და სხვა და სხვა ფასიან ქაღალდებზე, მაგრამ არა უმეტეს ქაღალდების ბირჟაზე ღირებულობის 90 პროცენტისა; 3) სესხის ვადა იქნეს 9 თვე, ნაცვლად 6-ისა; 4) სესხი გაიცეს უძრავ მამულებზე, აქციებზე და ობლიგაციებზე; 5) შემოღებულ იქმნას ოპერაცია საკომისიოდ ფულის გაგზავნა მიღებისა; 6) მონდობილობის დასაკმაყოფილებლად შეძენა სამეურნეო მანქანებისა, იარაღებისა და სხ.

ამის შემდეგ განხილულ და შეწყნარებულ იქმნა 1917 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ხარჯი ნავარაუდევია 56.000 მან. ამასთანავე წმინდა მოგებიდან 10 პროცენტი უნდა გადაიდვას გამგეობის წევრთა სასარგებლოდ, ხოლო 10 პროცენტი დანარჩენ მოსამსახურეთათვის. საბჭოს თითო წევრს თითო სხდომაზე დასწრებისათვის 15 მან., ხოლო სარევიზიო კომისიის თითო წევრს წლიურად 100 მან.

საანგარიშო წლის მოგებიდან წევრებს თითქმის არაფერი არ დარჩათ დივიდენდათ, რადგან ახალი კანონით ბანკს დიდძალი გადასახადი დასწოლია, როგორც მაგალითად, სახელმწიფო გადასახადი, სამხედრო გადასახადი და სხვა. ანგარიშის იმ განყოფილების განხილვამ, სადაც ეს ხარჯებია აღნუსხული, აზრთა ხანგრძლივი გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია, მაგრამ ბოლოს შეწყნარებულ იქმნა.

ბოლოს მოხდა არჩევნები. ბანკის თავმჯდომარედ უკენჭოდ ერთხმად არჩეულ იქმნა ისევ ვ. რ. ყიფიანი. საბჭოს წევრად ისევ ვ. გ. მაჩაბელი და განსვენებულ ა. ყიფშიძის ადგილას ილ. ხარაშვილი. სარევიზიო კომისიის წევრებად ი. გველესიანი, ს. მომცემლიძე, დ. ი. რაზმაძე. უკანასკნელთა კანდიდატებად—გ. გორდეზიანი, პ. ქავთარაძე და ბ-ნი მადალაშვილი.

სარევოლუციო ფურცელი

ჩვენ, ანარქისტ-კომუნისტები, როგორც გარეშე მდგომი ყოველგვარ სახელმწიფოებრივ უფლებისთვის ბრძოლისა და ამავე დროს, როგორც უკიდურესი მებრძოლი ყოველგვარ ჩაგვრისა, ვისახავთ,-რა ჩვენს იდეალათ სოციალიზმს, ჩვენ არ შეგვიძლია არ მივიღოთ მონაწილეობა თანამედროვე ბრძოლაში და არ გაუწიოთ ანგარიში „მომენტს“. ამიტომ და ამის შემდეგ ვაცხადებთ: ჩვენ ხელს შეუწყობთ ყოველგვარ მებრძოლ პარტიებს, ჯგუფებს და პიროვნებებს, რომელნიც მიიღებენ მონაწილეობას არსებულ (აწ უკვე დანგრეულ) მონარქიის გაუქმებაში და შეძლების დაგვარათ შეეცდებიან ჩამოაყალიბონ მომავალი სახელმწიფოს უფლებები.

გამოვდივართ,-რა ჩვენი მსოფლმხედველობისაგან, ე. ი. სახელმწიფო (მონარქიაა ის თუ რესპუბლიკა), როგორც უვარგისი ფორმა ადამიანების საზოგადოებრივ ცხოვრებისა, ჰკლავს პირად ინიციატივას, სჩაგრავს ერებს, სდევნის რეოლიუციონურ ჯგუფებს, მონოპოლიით ხდის მეცნიერებას და სხვა და სხვა, ჩვენ მომხრენი ვართ სრული ლიკვიდაციისა სახელმწიფოებრივ წესწყობისა,მაგრამ ეგ იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ მონარქია გვერჩიოს რესპუბლიკას.

ამ ნაირათ ჩვენ, როგორც მომხრე პიროვნების სრულ თავისუფლებისა, არ შეგვიძლია მხარი არ დაუჭიროთ ისეთ რამეებს, რომელიც თხოულობს რაიმე თავისუფლებას მშრომელი მასისათვის. ამიტომ ჩვენ ვერ გავიზიარებთ ისეთ ლოზუნგს, როგორიც არის „ძირს ავტონომია-ო“. ამ ნაირ ლოზუნგს პირ-იქით ჩვენი საშუალების დაგვარათ შევებრძოლებით და თუ კი, ვინიცობაა ამ ნაირი ბრძოლის ნიადაგი გადაიტანეს ცალკე პიროვნების კერძო ცხოვრებაში, ე. ი. მიმართეს მატერიალურ-ზნეობრივ შევიწროებას ცალკე პიროვნებისას. ჩვენ იძულებული ვიქნებით დაპყრობილთა და დატუსაღებულთა როლი ვითამაშოთ ცხოვრებაში და როგორც ასეთნი ჩვენი პროტესტი გამოვხატოთ უფრო მკაფიოდ, ვიდრე ტუსაღნი და ცალ-ცალკე ვაგებინოთ პასუხი ჩვენს სამსჯავროს წინაშე ჩვენს შემვიწროებლებს.

ჩვენ ვავსწევთ პრაპაგანდა-აგიტაციას, შესძლების დაგვარათ, რომ სახელმწიფოებრივი ფორმა არ არის კაცობრიობის იდეალი, რომ ის დამჩაგვრელია უპირველეს ყოვლისა მუშისა და გლეხისა, რომ ყოველგვარი სახელმწიფო აშენებულია შპიონაჟზე და ძალმომრეობაზე.

ჩვენ ვიცით ახალი და ძველი ისტორიიდან, რომ სახელმწიფონი პურისა და მიწის მაგიერ ტყვიითა და სახრჩობელით უმასპინძლდებოდა ნელნელა დაბეჩავებულ მუშებსა და გლეხებს.

ჩვენი დროშა, შავი ძაძით შემოსილი, ყველგან თავზარსა სცემს ყოველგვარ მჩაგვრელს, მით უმეტეს, როდესაც ეგ ჩაგვრა მიიღებს „კოლოსალურ" ხასიათს, როგორიც არის ეროვნული ჩაგვრა, დევა, დაინგრეს ყოველივე, რასაც აწმყოში და მომავალში აქვს ნასახი მტარვალობისა. სიკვდილი და დანგრევა ყოველივეს, რაც შეავიწროებს ერთობ კაცობრიობას და კერძოთ პიროვნებას, ჯგუფს, პარტიას, ერს და სხვა და სხვა.

კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, არ იქნეს გადატანილი ბრძოლის ნიადაგი კერძო პიროვნების ცხოვრებაში და ამითი ხელი არ შევუშალონ დიად მოძრაობის დროს, რომ მხოლოდ გავაცნოთ ხალხს ჩვენი თეორია, თორემ ამ გვარი მოძრაობა ას წელში ერთხელ ხდება და ჩვენ კი დანაშაულად ჩავთვლით ჩვენს თავს თუ ეს ვერ მოვახერხეთ და ხელშემშლელ პირობებს კი შევებრძოლებით ჩვენ ხელთ ქვეშე საშუალებით.

ჩვენ არ გამოუდგივართ ხალხის მებაირახტრეთ. დეე, მისდევდეს ხალხი იმას, ვისაც სურვილი აქვს გეგემონიის, ჩვენ როგორც უარმყოფი ყოველგვარ უფროსობისა და მხოლოდ მომხრე თანასწორობისა, გვინდა ჩვენი იდეაც გავრცელდეს თანასწორ პირობებში.

დასასრულ, ჩვენ უარს ვყოფთ ყოველგვარ ექსპროპრიაციას, რომელსაც ექნება შანტაჟის და ყაჩაღობის ხასიათი.

ანარქისტ-კომუნისტები.

ღ. სამტრედია.

ღვინით ვაჭრობა

ომის გამოცხადების შემდეგ ღვინით ვაჭრობა ძალზედ შემცირდა და ახლო მომავლის საკითხია—მისი მოსპობა სამუდამოდ, თუ ვაჭრობის დარჩენა. ეს ისეთი სერიოზული და დიდი საკითხია, რომ მისი აუწონ-დაუწონავად სამუდამოდ აღკრძალვა გამოიწვევს ისედაც გადატაკებულის გლეხის-მწარმოებლის უარეს გალატაკებას.

მეღვინეობა როდია ახლად რამე შექმნილი სამეურნეო დარგი; მისი ისტორია იკარგება შორს პირველ საუკუნოებში და იმის იქითაც; მხოლოდ მისი წარმოება-ტეხნიკა განვითარდა ბოლო ხანებში და მსოფლიო მრეწველობაში დაიჭირა საპატიო ადგილი.

ყველას კარგად ახსოვს, თუ ჯერ იმერეთში და შემდეგ ქართლში და ალაგ-ალაგ კახეთშიაც რა კატასტროფა გამოიწვია ფილოქსერამ მევენახეობაში, რამდენ შრომად და ხარჯად დაუჯდათ მევენახეებს ვენახების აღდგენა.

ღვთის მადლით, დაცემული მევენახეობა და მასთან მეღვინეობა აყვავდა და შეიქმნა ერთ დიდ დედა-ბოძად საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში. ღვინოა უმთავრესი წყარო ცხოვრებისა, ღვინით ისტუმრებენ ყველა საერო და სახელმწიფო გადასახადებს.

საერთოდ მთელს ჩვენს კავკასიაში 100,000 დესეტინამდე ვენახია გაშენებული. მარტო კახეთში ორმოც ათასამდე დესეტინა ვენახია გაშენებული. ეს ორმოცი ათასი დესეტინა ეკუთვნის სამოცდა ათასს მესაკუთრეს. აქედან ცხადად სჩანს, რომ უმთავრეს მასსას წარმოადგენენ წვრილი მესაკუთრეები. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა უბედურებაში ჩაცვივდებიან ეს საწყალი დავალიანებული მემამულეები ღვინით ვაჭრობის სამუდამოდ მოსპობით. თითქმის კი არა, სწორედ ყველა მამაკაცები ომშია გაწვეული, შინ დარჩენილან მარტო მოხუცნი და დედაკაცები. მე ჩემის თვალით მინახავს ამ მოკლე ხანში, თუ ძაძებიანი დედაკაცები (ქმრები და ძმები ომში დაეხოცათ), როგორ მუშაობდენ თავიანთ ვენახებში. გულქვა უნდა იყოს კაცი, რომ ასეთ პირობებში მოყვანილი რაღაც ორი-სამი საპალნე ღვინო—წყარო მთელის ცხოვრებისა—ხევში გადაუღვაროს! მე გადაღვრას ვუძახი ამას, თუ კი არ გააყიდვინებთ.

არა და არა, ეყოფა ხალხს თავისი გასაჭირი და ისედაც დამწვარს მდუღარეს ნუღარ დავასხამთ.

მომეტებული ნაწილი ვენახებისა არის გაშენებული ისეთ კლდიანსა და კირიან ადგილებში, სადაც სხვა მცენარე, გარდა ვაზისა, არ გაიხარებს. აქედანაც გამოდის, რომ თუ ღვინით ვაჭრობა მოისპო, უნდა მამულის პატრონნი წყალში გადაცვივდნენ. მე მგონია, ისეთი არავინ გამოჩნდება, რომ ლოთობას მხარი დაუჭიროს. ლოთობას ჩვენ ისეთის ზომებით უნდა ვებრძოლოთ, რომლებიც არ შელახავენ წვრილ მემამულეთა ინტერესებს.

დამერწმუნეთ, რომ ღვინის მოსპობა არამც თუ მოსპობს სავსებით ლოთობას, უფრო გააძლიერებს კიდევაც. გახშირდება ფალსიფიკაცია, გამონახავენ სხვა და სხვა სუროგატებს; აყროლებული (სანათი) სპირტი, პოლიტურა, ოდეკოლონები და ასეთი რამეები შეიქმნებიან ლოთების კერძი.

ქართველი კაცი შეზრდილია ღვინოსთან, სვამს ზომიერად; ზაფხულში მუშა-გლეხი ორი ჭიქა ღვინით იკრებს ერთი-ათად ძალას და მის ნამუშევარსაც ბარაქა ეძლევა.

ბევრს გაუკვირდება, მაგრამ ფაქტია, რომ მეღვინეობის რაიონში ლოთობას მკვიდრი ნიადაგი არა აქვს. ეს იმითი აიხსნება, რომ ხალხი ზომიერად სვამს ბუნებრივს ღვინოს, რომელსაც სიმაგრე არ აღემატება 10—12%. სადაც ღვინო არ მოდის, იქ უფრო ხშირად შეხვდებით ლოთებს. შორს ნუ წავალთ, ავიღოთ ჩვენი სამშობლო. თუ ჩვენ მეღვინეობას მოვსდევთ, რა დაგვაკლო მან? განა ქართველებს აკლია ჯანი და სიმკვირცხლე, ჭკუითა და გონებით დაბლა სდგანან სხვა ერებზედ, თუ სხვა რამე?

ღვინით ვაჭრობის შეზღუდვა ან და იმისი მთლად მოსპობა გამოწვეულია დღევანდელი მდგომარეობის მიერ წამოყენებული საკითხით. ახალი მთავრობა იმ აზრისაა, რომ თავისუფლების შესანარჩუნებლად ღვინო უნდა მოისპოს, ვინაიდან ჯარისკაცები თვრებიან და საქმეს წაახდენენ. ასეთი მოსაზრება, ცოტა არ იყოს, შემცდარია.

ქალაქში ლეგალურად ღვინის მოვაჭრეები ერთ ბოთლს ღვინოს ჰყიდიან არა ნაკლებ მანეთ ნახევრისა. ცხადია, რომ ჯარის კაცს იმდენი შეძლება არა აქვს, რომ ერთ ბოთლში (ისიც თხელ ღვინოში) მანეთ ნახევარი მისცეს. თვეში, რომ ერთხელ იყიდოს ერთი ბოთლი, ისიც ძალიან სამძიმო იქნება იმის ჯიბისთვის.

მეტყვიან, რომ მაშ საიდან ითვრებიანო. რომ კარგი კონტროლი გაუწიოთ ყველა ქალაქში ჩამომსვლელებს, ვნახავთ, რომ იმათ ბარგი-ბარხანაში ოსტატურადაა გახვეული სხვა და სხვა ჯურის ჰურჭელი ღვინითა და არაყით, უფრო არაყით სავსე. ესენი არიან, ეგრედ წოდებულნი „პოსტავშჩიკები" ღვინით ჩუმად მოვაჭრეებისა, რომლებიც ჰყიდიან ამ სასმელებს მდაბიო ხალხზედ ჩუმად და იაფად.

ამას გარდა, აქამდის ყველა სასადილოებში და კერძებით მოვაჭრეებში თავისუფლად ვაჭრობდენ სასმელებით თუ ჩაისა და თუ ლიმონათის სახით, ეს რასაკვირველია კარგად უწყოდა ძველმა პოლიციამ და „ხათრს" ინახავდა. აწი მაინც სასტიკი კონტროლი მოსპობს ჩუმად, უბანდეროლოდ ვაჭრობას (ნებადაურთველად) და თავის თავად ღვინით ვაჭრობა ჩადგება ზომიერ კალაპოტში და არ გადავა წრეს, ვინაიდან ღვინო არც ისე ხელსაყრელია, რომ კაცი დახარბდეს. თუ საჭიროება მოითხოვს, შეიძლება ღვინით სავაჭროები გაიხსნას დილის 8 საათიდან დღის 12 საათამდის. ეს დრო ის დროა, როდესაც ჯარისკაცები სწავლაშია და დრო არ ექნება ღვინის დასალევად შეიძინოს სადმე.

ერთის მხრით გაძლიერებული მილიცია და პატრულები და მეორეთი სალდათების დეპუტატების საბჭო ძმური მოწოდებით თავის ამხანაგებს გააფრთხილებენ არ ილოთონ და იყვნენ ფხიზელნი და მით შეძლება მისცენ მთელს მხარეს ეკონომიურ მდგომარეობაში, რომ მათი შიშით არ მოსპონ მევენახეობა და მეღვინეობა და არ ჩაცვივდენ საშინელ მდგომარეობაში მეღვინეობის რაიონები.

ამით ვათავებ ამ წერილს და იმედი მაქვს, როგორც მთელი ქართველი საზოგადოება, ისე თვითონ ჯარის კაცები ხელს შეუწყობენ ამ ძველის ძველ კულტურას და ეკონომიურად არ დაჰლუპავენ მშრომელ გლეხებს.

ვსთხოვ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს წერილი.

ქ. გაბიჩვაძე.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

მიიღება ხელის მოწერა

სანდრო შანშიაშვილის თხზულებაზე

26 წიგნი

გამოვა შემდეგის სერიით:

ლექსები.
1. ცხოვრების გზაზე,
2. ტრფობის ნაშთი,
3. ხვედა მამულისადმი,
4. ბალი ხვედრისა,
5. საგალობელნი,
6. წიგნი სიმღერებისა,
7. სულამიტ,სამიჯნურო ჰანგები
8. საბავშვო იგავ-არაკები.

ლირიკული პოემები.
9. იდუმალი ხმები,
10. ოცნების ნხარეს,
11. ლანდები,
12. ორფეუს და ევრიდიკე,
13. იდუმალობის წინაშე,
14. ამირანი.

ეპიკურ-რომანტიული პოემა.
15. მედია და მშვენიერი ელენე,

დრამატიული პოემები.
16. ქალი გრძეული,
17. მეფე მგოსანი,
18. ბერდო ზმანია,
19. ივერიკო,
20. შვების თავადი,
21. უგვირგვინო მეფენი,
22. ბედი მგოსნისა.

თარგმნები.
23. ფაუსტ გიოტესი,
24. დონ-კარლოს შილლერისა,
25. კეისარ იმპერატორი კონ—სა,
26. უცხო ლირიკა.

ხელის მომწერისთვის ყველა წიგნები ღირს 15 მანეთად.

ფულის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად. პირველად 5 მან.,—მიიღებთ ათს წიგნს; მეორედ 5 მან.,—მიიღებთ კიდევ ათს წიგნს და მესამედ 5 მან. დანარჩენ წიგნებისათვის.

ვინც ოცს ხელისმომწერს იშოვნის, ყველა წიგნები უფასოდ დაეთმობა. ბიბლიოთეკებს ყველა წიგნები თუმნად დაეთმობათ.

მთავარი მისამართები თბილისში: წ.-კითხვის საზოგადოება, სასახლის ქუჩა—ვასილ ედილაშვილი; მოსკოვის ქუჩა № 4 „საქართველოს" რედაქცია; ნიკოლოზის ქუჩა № 7—სანდრო შანშიაშვილი და „სახ. ფურცლის" კანტორა. ხელის მომწერის ადრესი, სახელი და გვარი გარკვევით უნდა იქმნეს აღნიშნული

გამომცემელი **ნარდონი.**

გამოცემა ქნ. ეკატერინე მიხ. ერისთავისა

ნ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები

სრული აკადემიური გამოცემა სურათებით.

გამოცემაში დაიბეჭდება სრული ტექსტი ერთის ვარიანტისა და აღნიშნული იქნება ყოველი, სულ მცირე განსხვავებაც, დანარჩენ ვარიანტებისა. წიგნს დართული ექნება ვრცელი ბიოგრაფია და წერილები ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ:

ს. გორგაძის—„ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა".
ე. თაყაიშვილის—„ხელთნაწერის მიმოხილვა".
ნ. დუბროვსკის—„მსოფლიო სევდა და ნ. ბარათაშვილი".
ი. მეუნარგიას—„ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა".
გრ. რობაქიძის—„ნიკო ბარათაშვილი".
დ. უზნაძის—„პოეტის სული".

გარდა ამისა თვითეულ ლექსს ექნება დაწვრილებითი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული განმარტება.

წიგნი შემკული იქნება სამოცზე მეტი სურათით (იმ ადგილებისა და პირების, რომელნიც მოხსენებულნი არიან ნ. ბარათაშვილის ლექსებსა და წერილებში) და პოეტის მრავალის ავტოგრაფით.

წიგნის ფასი ხელის მოწერით სამ მანეთ-ნახევარია (3—50). სამასი ცალი დაიბეჭდება სქელ ქაღალდზე და ეღირება ხუთი მან.

(10—555—8)

ექიმი კბილისა

ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა

იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ჩერქეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი

მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი

ივანე თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.
ტელეფონი № 11—82.

ექიმქა

გ. მ. მუხაძე

იღებს ხადოსტაქრო ავადმყოფთ
საღამოს 5-6 ს. -მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

გოლოვინის პრ. და ხამბეგლის ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი

ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი ელოქტროლობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევს 5—9 საათამდე.

ერლიხის „914" და „606"

შეშხაპუნება

ექიმი

ე. ლ. შალამბერიძე

იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი

მ. ი. მარნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, [illegible] ქ. № 4. (თ.—202—)

ექიმი

მ. ფ. მგალობლიშვილი

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათ ავადმყოფებს მიიღებს [illegible] ქ. № 8.

1917 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ"-ზე

ყოველთვიური გამოცემა

ჟურნალი „ნაკადული" გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადული"-სა მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადული"-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ფოსტისთვის: Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსასვლელი დავითის ქ. № 2. დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

(291—19)

თევზის მრეწველნი

ძმ. მეზველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მანთაშევის-შვილ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მუშოჩნი" ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიკის ზედმეტ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი [illegible] და [illegible] რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა [illegible] ინახება.

უპირველესი, რადიკალური და სწრაფი

მასთან იაფი საშუალება

სიფილისს, სახსრების ავადმყოფობას, სახსრებისა და კუნთების ქრონიკულ რევმატიზმს, ნეკრესის ქარებს, საერთო გადამდებ ავადმყოფობას, ღვიძლებით მოწამლულს, თვალის ავადმყოფობას, სიფილისის წყლულებს, წითელას, ხერხემლის გამოფიტვას, დამბლას და სხვას **საჩქაროდ კურნავს** საქვეყნოდ ცნობილი შვეიცარიული საექიმო საშუალება **პროფესორ რიჩის**

იოდასტარინი

ნუ შეგეცდლებათ სხვა პატენტოვან საშუალებებში. **პროფესორ რიჩის** პრეპარატი წმინდა საექიმო საშუალებაა, გასინჯულია **საუკეთესო ევროპიულ** კლინიკებში და სანატორიებში კურსების ფასი 32 მანეთი, $^1/_2$ 16 მანეთი $^1/_4$ 8 მანეთი, ყოველი მილი 4 მანეთი და 50 კ. ღირს. სხვა ქალაქებში იგზავნება ხუთი მანეთის ბეს მიღების შემდეგ. ვისაც რაიმე მოლაპარაკება და პრეპარატის შეკვეთა სურთ, მიმართეთ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიას.

თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 16—6—4. სახელმწიფო ბანკის ახლოს.

Тифлисское Отдѣленіе Парижской фармацевтической Лабораторіи, Тифлисъ, Лорисъ-Меликовская, № 16, отд. 6—4. противъ Государственнаго банка.

ქარებს (რევმატიზმის),

ნეკრესის

თირკმელების (ჭაჭების)

და სხვა ამგვარ ავადმყოფობის დროს უებარი წამალია „უროდონალ", და მაზი წასასმელი „ატრო", სრულიად უვნებელია და მოქმედებს ძლიერ კარგად. ფასი „უროდონალის" ხუთი მანეთი და მაზისა სამი მანეთი. მთელი წამლობისათვის საჭიროა ოთხი ფლაკონი „ურდონალი" და ოთხი კოლოფი მაზი „ატრო". სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუთ მანეთის ბეს შემდეგ. დასაკვეთად და მოსალაპარაკებლად უნდა მიმართოთ მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებას.

თბილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16: გან. 6—9, სახელმწიფო ბანკის მახლობლად.

Тифлисское Отдѣленіе Парижской-фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Мемиковская № 16, отд. 6—9. Противъ Государственнаго Банка.

სუსუნატით (ტრიპერით)

ავადმყოფებს,

რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენენ ცნობილ საშუალებას „რეზუროლინი", რომელიც სულ მოკლეხანში არჩენს გაარჯელებულ და ქრონიკულ სუსუნატს საშარდე ბუშტისას, ბისას და სხვ.

რატომ

ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება?

იმიტომ, რომ,

ჯერ ერთი, დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.

მეორედ, იმიტომ, რომ მართლაც ძნელია ნამდვილ, რადიკალური საშუალების გამონახვა.

მაგრამ ყველა ავადმყოფმა, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს უებარი „რეზუროლინი". სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა, რომ

„რეზუროლინი"

ნამდვილად არჩენს სუსუნატს. მთლად მოსარჩენად საჭიროა ორი ფლაკონი, ღირს 21 მანეთი და ძვირფასისა 35 მან. 50 კ. მთელი წამლობა შეიძლება ორ საშუალებისაგან სხვა. ქვეყნებში იგზავნება 5 მანეთის წინდ მიღების შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებაში: თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 16, განყ. 6—1, სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.

За заказами и справками обратиться въ Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская, № 16, отд. 6—1, напротивъ Государственнаго Банка.

სტამბა „შრომისა" [illegible] № 8